

# ნოჯისური

ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,  
მძინარეც ამას ვდუდუნებ  
ვაჟა-ფშაველა

ლიტერატურული გაზეთი №37 აკათათვი, 2016

დაუთმენლის დათმენით, არა ეშმას ლოშნით, ზეიმობდეს ქართველი თავის სამშობლოში!

## კონსტანტინე გამსახურდია — 123



„მე დავიბადე მსოფლიოს უმცირეს და უმოკლეს მდინარის პირას. მას ჰქვია სახელად „ზანა“, იგი მამაჩემის მამულზე გზაგავლით ერთვოდა აბაშას...  
...ყველგან და ყოველთვის მე მიხედებოდა გაჯობრება გერმანელებთან, ებრაელებთან, პოლონელებთან, ამერიკელებთან და ფრანგებთან. არავის ვუმხელდი, მაგრამ ჩემს თავს ვეუბნებოდი: „შენ ჰეი, მსოფლიოს უმცირეს მდინარის პირად შობილო ბიჭო, არ გაჯობონ დიდი მდინარეების პირად დაბადებულთა“.


კონსტანტინე გამსახურდია

## ღმერთო, მოჰკითხე!

როდესაც ვხედავ, —  
დამზობილს პირქვე, —  
სამშობლოს ჩემსას, —  
ღვთისმშობლის წილხვედრს,  
ვით არ ავტირდე?! —  
რომ არ ავტირდე?! —  
რომ არ ავტირდე?! —  
ვით არ ავტირდე?! —  
როდესაც ვხედავ, —  
დამზობილს პირქვე, —  
სამშობლოს ჩემსას, —  
ღვთისმშობლის წილხვედრს, —  
ხე უნდა ვიყვე, —  
რომ არ ავტირდე?! —  
რომ არ ავტირდე?! —  
ქვა უნდა ვიყვე!  
გამასავათა მამულზე ფიქრმა!..  
კაცმა არ იცის, — რა გველის კიდევ!..  
ამ ჯოჯოხეთში ვინც თავი გვიკრა, —  
ღმერთო, მოჰკითხე!  
ღმერთო, მოჰკითხე!

მუხრან მაჭავარიანი

## ერისკაცი 77 წლისა!



ნუ იდარდებს დედაშენი,  
ჰყავდი შვილი სასახლო —  
შენს ამაგსაც გაიხსენებს  
უბორკილო საქართველო!

## რას ამბობდნენ სამებრლოზე დიდი ქართველები

\* \* \*

თუ მეგრელი ხარ, ე. ი. ყველაზე დიდი ქართველი ხარ, იმიტომ, რომ კოლხეთის სამეფო იყო პირველი კოლხური წარმონაქმნი, მაშინ, როდესაც არ არსებობდა, ერთი კრებითი სახელი ქართველთა საქართველო! თუ მეგრელი ხარ ე. ი. ძალიან ამაყობ, ამაყობ იმიტომ, რომ საქართველოს უძველესი შვილი ხარ! თუ მეგრელი ხარ ე. ი. ღმერთმა ორი მშობლიური ენა მოგცა ოდითგან კოლხური — ზანურ-ჭახური, რომლის შემკვიდრეა, რა თქმა უნდა, მეგრული და, რა თქმა უნდა, ქართული. მშობლიურია ორივე ჩემთვის! თუ მეგრელი ხარ ე. ი. ტკბილი მეგრული ნანა გსმენია დედისა! თუ მეგრელი ხარ მორ-

\* \* \*

„მეგრული დღეს სალაროა ნამდვილი ქართული სიტყვების. აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობისა ნამდვილ ქართული სიტყვები, მათ ნაცვლად სომხურ-სპარსულ-თათრული შემოუღია, რომელიც ქართველის ყურს ცუდად ეჩხიერება და გულსა სწყინს და მეგრულ ენაში კი შემო-

\* \* \*

„მეგრელები შეადგენენ ქართველთა შტოსა. სხვა ქართველებისაგან ბევრით არაფრით განსხვავდებიან. მეგრელი იმერელსა და გურულს ისე ძლიერ ემსგავსება, რომ ქართული და კახელი ამათ ერთმანეთში ძნელად გაარჩევს. მარტო ენით არიან ცოტათი განცალკევებულნი, მაგრამ ეს ენაც ღვიძლი ძმა ქართულის ენისა. გარდა ამისა, თითქმის ყველა მეგრელმა კარგად იცის ქართული ლაპარაკი და ქართული ენა ძლიერ უყვართ. იმათ ეს საღმრთო ენად მიაჩნიათ, რადგანაც ნირვა-ლოცვა მთელს სამეგრელოში იმ თავიდანვე ქართულს ენაზე სრულდებოდა და ახლაც სრულდება... შესანიშნავია, რომ

\* \* \*

„ჩვენ, ქართველებს, კიდევაც შეგვიძლია ვიამაყოთ სხვა ხალხთა პირისპირ, რომელთაც ასეთი შესხეულება ერისა და ტომისა იშვიათად მოუპოვებათ. საქართველოს სიძლიერე სწორედ მის ტომთა ცოცხალ თავისებურებაშია, მე იმის მომხრეც ვიქნებოდი, მწერლობა აყვავებულიყო მეგრულად — რა საკვირველია, არა „მაფალუს“ ხაზით.


გრიგოლ რობაქიძე

## მე შენ მიყვარხარ, ადამიანო!

შენს არსებობას მაშინ აქვს აზრი, თუ შენი სული მზისებრ მზიანობს, ტყვედ თუ არ იქვე მონათა ბაზრის, თუ არ გიყიდე, ადამიანო! ამქვეყნად ერთი ცხოვრებით ცხოვრობ, სული სვეტაკი არ აზიანო, უნდა იცოდე, თუ ვისთვის შრომობ, მერმისს რომ შერჩე, ადამიანო! დროზე შემოჰკარ განგაშის ზარებს, სიტყვის თქმა აღარ დააგვიანო, თორემ მოძმეც კი არ გაგიკარებს მხდალს და მშობარას, ადამიანო! სამშობლოსათვის თუკი არ იღვნი, მაშინ ქართველიც აღარ გქვიანო, კუჭის გულისთვის სულს გაუფრთხილდი, სულს გაუფრთხილდი, ადამიანო! ხორცის ცდუნებას ნულარ აყვები, არ ღირს რომ სულიც ანაკვიანო, შენს გზას ბოლომდე თუკი გაყვები, მაშინ გინამებ, ადამიანო! ეს სულერთია ჩემთვის ვინა ხარ, ანდა სახელად შენ რა გქვიანო, მე შენ მიყვარდი, მე შენ მიყვარხარ და მეყვარები, ადამიანო!

გივი ძველიაი

## ჩვენი საუნჯე



თბილისის სიონი. დედაქალაქის საკათედრო ტაძარი. მისი მშენებლობა VI საუკუნის მინურულს დაიწყო და VII საუკუნის 20-იან წლებში დამთავრდა, ადარნასე ერისთავის დროს, მომდევნო საუკუნეებში უცხოელმა დამპყრობლებმა რამდენჯერმე დაანგრეს, მაგრამ ყოველ ჯერზე აღდგენილ იქნა.

## გამოიღვიძა, ბოროტებს გიხრავ, რომ აინფიცტო კლდიდან, ამირან!



ჩვენ ამირანის ჯიშის მოდგმა ვართ და გველშაპი ვერც ადვილად ვერც გადაგყლაპავს და ვერც მოგვინელებს. ეს ჩვენმა კაცმა თქვა: „ვერ იზამს წუთისოფელი, ფეხებზე დამიკიდოსა“!

სილნალი. „ამირანი“. ვახტანგ ონიანი. 1980 წ.

(სამწუხაროდ, უკეთურთა მიერ დიდებული ძველი განადგურებულია).

## ნეტავ მალე მიაღწევდ მიზანს!

შენ შუბლს იხსნი და სიბნელეს ლენავ, საქართველოს მოღრუბლულ ზეცავ... ნეტავ მალე აღმოზრწინდეს მნათი, მალე სხივი მოეფინოს ნეტავ! წინ მიიწევა და ხმაურობ, გღვიძავს, საქართველოს სევდიანო მინავ. ნეტავ მალე დაამსხვრევე ბორკილს, ნეტავ მალე მიაღწევდ მიზანს!..

გალაკტიონ ტაბიძე







იუბილე

გენიალური დანიელ ფიფია 120 წლისაა!



მიმდინარე წლის 1 (14) ივნისს დაბადებიდან 120 წელი შეუსრულდა გამოჩენილ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს დანიელ პავლეს ძე ფიფიას.

ღია მიმართვა ნალენჯისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობას

უნინარესად გიდასტურებთ ჩემს გულწრფელ პატივისცემას და რასაკვირველია სურვილსაც, რომ წარმატებულად გელვანოთ ჩვენი მრავალჭირნახული ხალხის საკეთილდღეოდ!

გამოჩენილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-3 კურსის სტუდენტი, 27 წლის დანიელ ფიფია 1924 წლის თებერვალში დააბატონეს ბოლშევიკებმა და მეტეხის ციხეში გამოამწყვდიეს, ხოლო იმავე წლის სექტემბერში, პირველი სისხლიანი რევოლუციის შემდეგ, რაც აგვისტოს აჯანყებას მოჰყვა, ციხეშივე წარუდგინეს ბოლშევიკთა მიერ გამოცემული დეკრეტი, რის საფუძველზეც შეეძლოთ სიცოცხლე შეენარჩუნებინათ, თუკი მათ მხარეზე გადავიდოდა და დაემოხდა წარსულს.

თამაზ ფიფია, მწერალი.

ნიჭიერ პოეტსა და დიდებულ მამულიშვილს — დანიელ ფიფიას „სამეგრელოს ბაირონის“ გარდა, ხალხმა სიყვარულით „სამეგრელოს ვაჟაც“ უწოდა! და თუ რატომ, ამას ნაივსებელი შესანიშნავად მიხვდებოდა, როცა ნაივითხვდა დანიელის ისტორიულ პოემა „ბუღათისა“, განსაკუთრებით მის მეხუთე თავს, რომელსაც ახლაც ვთავაზობთ მკითხველ საზოგადოებას.

მისთი შარა მერჩამუნნი ზუგიდიშე ბჟაიოლც, ჯეგეშ სოფელი ჭაქვინჯი რე ხველე შირი სათიშე ოლც. ვით ვერსითი ვაილგნა, ქალადირთი დიკოხონცე, ქოძირითე უძირაფუ, ვაუჯერთე თქვანი თოლცე. მუკი-მუკი სუქეფი რე მოთინილი ფალო ტკილი, ბაბუშობაშე ცურუეფთი გობონდლილი, გოქუნელი; ცაშა ნვანდი უნჭუნე ფერი — არძო შხუ დო არძო რჩინე, სუკიშ ნვანცე ფუთქურამი ცხიმურეფი მუკორეფინე. შირე საჯენიშე მაჟიამე ემერე ნყურგილე მოსოფუნცე, გვართა-გვართა მუკობოხონცე, ქუაშ კიდას მიკოფუნცე, უკულ ტკილცე უზოგარო გინათხუ დო გვარგვალანცე. ჯუნუნცე ყოროფილიშორო, ბონუნცე დო ხვარჩალანცე; თუდო ქვიშა ვარჩხილიში ეთმოცენცე, ვარკალანცე. ბაჟაშ ჩხორიას გემუშტყობუ შქასე მიშაბარჩხალანცე გიჯინეჟე იშო-აშო დუუგარძლე შური, გური. ხეშქაგურიშორო მოჩქე ჯეგეშე ოხვამე ნენდიხური; ჭითა გვალა, თუდო სქური, ნაოხვამე ობუჯური, ჯეგეშე ბორჯიში მოჭიშეთი ამდლა არძო უმინჯური. მუხური — ნაცხა გოჭკადილცე უჯინეჟე კარაკანო; მინდორი გინოსილონგირი გოფარჩლე შხვა აკანო; თუდოლეშე შორც იძირე ურთა, თეკათი დო ეკი, ყიმოლოშე გვალას გვალა. მუნორცხილი ეკი ეკი. სკან ნოხოლე სუკი გერე, შხვასე მოხარცქაფილი,

სუკო კოჩი ვადაყთო, ხეთე გიჩქე ვაფილი, გინმიჯინე კანდიორო სქეამი, მოყუნაფილი, ჯეგეში ჭაქვინჯური ვიხა, თელ ოდიშის ცქეაფილი. მაღალე კიდა გინოჭყვართ, გახუტოლე სუკიში დუც, ქარიატამა ონჭუნეფერი შქა-შქას ყორშეფე აშაქუნც. ფუთქურთი გოფორილცე ცურუში ნაბადი გინაქუნცუ; თუდო სქეამი ჭენი წყარი ლენტიშორო მუკოქუნცუ. კოჩიში თოლქ მუ ძირასე, თეში მანგი ოძირაფუ; დლა დო სური უჯინეში კინე ჯინაშა გური ვაფუ; უღირ ბორჯიში სქეამე ლანდი სქანი ნოხოლე გილეფაფუ; შური შხვადო მინჭუნაფუ სოდგენი შორც ილაყაფუ, ირფელი თეში მაძირაფუ მიკართუქე დრო უღირცე დო იფირქე ამდლათ ვორდათ მუ იყი დო მუ უჭირცე.

დანიელ ფიფიას უკანასკნელი ლექსი მატეხის ციხეში

ვუძღვნი კალისტრატე სამუშიას ნათელს სოფნას. მას ეს ამბავი მოუსმენია დანიელის თანასოფელის შალვა შენგელიასგან

1  
ბნელში ვით ნათელს ფარვანა ველტვოდი თავისუფლებას, ოდიშმა მიმღერა ნანა და მომცა ამის უფლება. ლექსი მიძღოდა მეგზურად გონით მგზნებარე, ალალი, მსურდა სოფლისთვის მეზრუნა, სიტყვა რამ მეთქვა ახალი. მწვლბედობასთნ ჭიდილში ვაგინვრთნე სული, — სხეულიც, ურნმუნოების ღინცილში ვასნორე გზები ხვეული. ირგვლივ ვაგავფე ბარდნარი, ნისლეში გამოვიხედე, ვნახე დიადი ბალნარი, გული ეძებდა მსგავს ხედებს, მაგრამ სიხარულს არ ვაცლის თუ ჩაგისაფრდა ბოროტი, შემოიფარდა ბინაში, აფრქვევდა აზრებს მოროტივს. ინის სიმტყუენემ იმარჯვა,

მაშ, გისურვებთ წარმატებას და გეტყვით იმასაც რომ „დაე, საქმემან თქვენმან გამოგაჩინონ თქვენ“!

პატივისცემით, ზურაბ კვარაცხელია, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

თქვენს ღვანლს საზოგადოება დააფასებს!

მასხოვს, ერთხელ, ზუგდიდელმა ისტორიკოსმა აბესალომ ტულუშმა ზუგდიდის დადიანების კარის ეკლესიის შემოსასვლელთან, ხელმარჯვნივ მაჩვენა ადგილი, სადაც გასული საუკუნის 20-იან წლებში ბოლშევიკურმა ტირანიამ ასობით უდანაშაულო ადამიანი დახვრიტა... ჭირისუფალნი, თურმე, ღამ-ღამობით მალულად იკრიბებოდნენ იქ და დალუპულთა ხსოვნას სანთლებს უნთებდნენ...

ნატე ფიფიას, შოთა მესხიას, კალისტრატე სალიასა და დანიელ ფიფიას ბიუსტები! გუგე ცანავასაგან გაულერებული ეს იდეა მოვისმინე ნალენჯისასა და ობუჯში! ისე არ გამიგოთ, რომ ამას მარტო მე ვისმენდი, არა ბატონებო, ამას ისმენდა უამრავი ნალენჯიხელი, ობუჯელი და ჩამოსული სტუმარიც!...

პატივისცემითა და კეთილი სურვილებით ვალერი ძაძაძია გაზეთ „ნოჯიხურის“ რედაქტორი

გავხდი უგლიმთგან ლტოლვილი, საკანი მან მომისაჯა, შემკრა ხუნდით და ბორკილით. ბრძანებადა ხალხის სახელით ქვეყნის იავარმყოფელი, რალად უნდოდა სამხელი განადგურებას ყოველის. და მაინც მაცდურ სურვილით ვალათის მონამ მიმიხმო, მითხრა: „ბედისგან ურვილი მსურს სასიცოცხლოდ მიგიმხრო. ალბათ დიდ საფრთხეს კი ხვედები, შესძელი რადგან ჩემიხმო, ხვალ ყველა დაიხვრიტებით, არც რამ დაგრჩებათ საოხი. დაგმე ძველი გზა, — შეცდომა, ნითელ მერანზე ამხედრდი, გელის ცოდვების შენდობა და აცილება მწარ ხვედრის“. ვუთხარ: „გულმა ვით მიიკროს ახლა ჩამეგა რა ხმეებო, ვალათის ფურთხის ბილნ მიკრობს შენ როგორ დაგეთანხმები?! უღმერთომ ცოდვა და მადლი, აბა, საიდან, რა იცის?! თქვენი არმინი თუ ადლი, ყალბია, გეტყვით კვლავ ფიცით. დამაპატონრა წლის დამდეგს შენსავით შარახვეტიამ, ამბოხში რა ბრალი დამდეტ ვზივარ შვიდ თვეზე მეტია. საკუთარ ქვეყნის დამპყრობნი, სისხლისმსმელებო ტკიპებო, ორპირ-ანგარნი და ყროლნი, მე გიპასუხებთ მტკიცედო: — ნითელ მერნების მხედრებმა გატოპეთ სისხლის მდინარე, თქვენს ავზნეს რა შეედრება, კვლავ გინთლდებათ წინ არე. გიჯობთ მიაპყროთ ყურები რა საქმეც განარჩევია, მე აქ ნითლების ყურებას დახვრეტაც კი მიჩრეწენია. რისხვამ ჰაერი დანიწკლა, სახზე დამადგა ჩრდილი და სამმა, კობრად ანვდილმა, გადამიწყვიტა სიკვდილი. ან ალასრულს განაჩენს სიმართლის უნდო მდევარი, ღმერთო, უგვანოთ რად აჩენ ქემარტების მკვლევაარი.

კები მიბრუნა დრომ ავად. გული ტკივილებს მიხვდა, სისხლძარღვებ გადანურული, ალბათ სატანამ იხვდა, შამი შავჩამოზურული, სადაც ნიხლავენ სიმართლეს, მეფობს ვერავი მედროვე, სად ვედარ ნათობს სინათლე, კარგი რამ როგორ გვესმოდეს?! სინათლის სხვიის მპყრობელი ვეშაში იმდენს ეცადა, ღვთიურ სიკეთის მგმობელი ბრბო იქცა კანონმდებლად.

p.s. საკანს შერჩენილ ამ ლექსის კითხვაში გაცვდა ქალადლი, სტრიქონებს ჯავრში ალესილს ერთოდა სხვათა ლალადიც. პოეტის ბედზე თქმულებამ, ზეპირმა გამოაღწია, რაც გულის დარდის წწლებმა სტროფებში გამოამწყვდია.









8

სასახლუმო, ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს გავატარებდი!

1960 წლიდან დღემდე ვარ მწერალთა ბიბლიოთეკის გამგე. შეთავსებით ვიყავი მწერალთა კავშირის საქმეთა მმართველი, ლიტერატურის კონსულტანტი, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან — საოქმო განყოფილების გამგეც, 1974-1984 წლებში შეთავსებით მთელი სეზონის განმავლობაში (ივლის-აგვისტო) მწერალთა შემოქმედებითი სახლის „ქვიშხეთის“ კლუბისა და ბიბლიოთეკის გამგე, კულტურული, ლაშქრობებისა და ექსკურსიების მომწყობი, აღმზრდელი — ბავშვებისათვის დილის ვარჯიშების, შეჯიბრებების (ფეხბურთი, სირბილი, ხტომები და სხვ.), ტელეგადაცემათა თავი-თავის დროზე ჩვენების, შუადღის წყნარი საათისა და საღამოს დროზე დაძინების შემოდგომა (ერთხელ წამოვიტოვე — „წერილფეხობა იძინებს!“ და ეს ბავშვებს ისე მოეწონათ, რომ ამის გამოცხადებულად დედებს დასაძინებლად არ მიყვებოდნენ), მათი ცელქობისა და ემპატიობათა კალაპოტში ჩამყენებელი (ბავშვებმა ვერაფერიათ ემპატიობა, ზოგჯერ მანვე ოინებიც, ვერ გამომაპარეს და ამის გამო იმ დროს პოპულარული კინოფილმის გმირის სახელი „კლოსი“ შემარქვეს, ჯერ „ობერ-ლიტენანტი „კლოსი“, შემდეგ ჩინი მომიმატეს და „კაპიტანი კლოსი“ მინოღეს).

ბედნიერი ვარ, რომ მატივისცემა დავიმსახურე და დღესაც სიყვარულით მიხსენიებენ. არ შემოძლია მადლიერების გრძობით არ მოვიხსენიო პოეტი შარლოტა კვანცელიანი — „ძველი ქვიშხეთელი“, რომელმაც როცა ქვიშხეთში ადრინდელი დამსვენებლები უკვე შეილიშვლებით, ხოლო „კლოსის ლაშქრის“ წევრები — შეილებით დადიოდნენ, თავის სალალობო ანდერძში შეტანისა და „კლოსის“ ჩინის მომატების ღირსი გამხდა:

კვრენწილაძე რეზოს ვახლავარ!  
უნდა მივართვა დიდი „ფახლავა“,  
აჭამოს ნიკას, ლევანს და სახაროს,  
კიდევ ზაირას — მიუღოს სანდოს.  
გამჭოლი მზერით კლოსს მოვავაგონებს,  
ლაშქრავს მთაწმინდას, ველებს და გორებს,  
ვუტოვებ „რუგ ზაკს“ ჩრჩილისგან დახრულს  
და პოლოვნიკის ბიძის პავონებს.

**ლიტერატურული მემკვიდრეობა**

1954 წლიდან დავიწყე და დღემდე ვაგრძელებ ლიტერატურული წერილების ბეჭდვას. ამის გარდა მწერალთა შემოქმედებითი ოჯახში მრავალწლიანმა მუშაობამ შთამაგონა მისი ისტორიის კვლევა. ამის შედეგად 1983 წელს გამოცემულა „მერანმა“ დასტავა ჩემი წიგნი — გამოკვლევა „საქართველოს მწერალთა კავშირი. 1917-1982 წწ.“

... ამ წიგნზე რამდენიმე გამოხმაურებას გავაცნობთ. მსურს მადლიერება გამოვხატო, მადლობის სიტყვით მოვიხსენიო გამოხმაურებათა ავტორები:

ჯანსუღ ჩარკვიანი — თუ ისურვებ, ამ წიგნით დისტრატციას დავაცვიფრებო... (სხვა საქმეა, რომ მე ეს ვერ ვქენი)  
ირაკლი აბაშიძე — ერთხელ ვახტანგ ბერი-

ძეს წარუდგინა ჩემი თავი: არ იცნობ? მწერალთა კავშირზე მშვენიერი წიგნი დაწერაო.  
წარმოიდგინეთ, იმავე მშრალ მეორე ნახევარს, თუმცა დიდი პრეტენზია არა აქვს, მაინც შეუძლია რაღაც დახმარების განკვეთა. აკაკი ვანერელიამ ორჯერ მითხრა: შენი წიგნი მოგონებების წერისას თარიღების დადგენაში მეხმარებაო;

ელუარდ ელიგულაშვილი — „ეს-ესაა გამოქვეყნდა რ. კვერენწილაძის წიგნი საქართველოს მწერალთა კავშირის ისტორიაზე მისი დაარსებიდან 1917 წელს დღევანდლამდე. დროთა — წარსულის, აწმყოსი და მომავლის — კავშირს. ეროვნული ცხოვრებისა და ლიტერატურის უწყვეტელობის ტრადიციებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ეს აზრი მსჭვალავს მთელ ამ წიგნს.“ („ლიტერატურა“ გაზეთი“, 1984 წ. №31).

... ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია სამი გამოცემული საქართველოს მწერალთა კავშირის ისტორიის კვლევაზე:

ლალი ავალიანი — როდესაც 1917 წლის შემდეგ პირველად 1993 წელს მოვახდინე მწერლებისადმი მიმართული ტიციან ტაბიძის „ღია ბარათის“ პუბლიკაცია, ეს ამბავი, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ქალბატონმა ლალიმ ჩათვალა ყურადღების ღირსად და წერილში „საზოგადოებრივ სფეროში“ („სს“, 1993 წ. 2. VII) ხაზი გაუსვა იმ დროისათვის ტიციანის ძალისხმევას — ხალხს გაერთიანების მაგალითი მწერლებმა ერთ შემოქმედებით კავშირში გაერთიანებით მივცეთო; ... ლალი ავალიანი: „მწერალთა კავშირის პირველი წინადაცემის რევაზ კვერენწილაძის უზარმაზარი სამუშაო, იმავე წლებში, მავანმა თავისი უღირსი მიზნებისათვის და ზოგიერთი რეპრესიული მწერლის სახელის შელახვისათვის გამოიყენა, რამაც კონფრონტაციის ახალი ტალღა აავიწოა“;

ანზორ აბულაშვილი: „ამ საქმეს განსაკუთრებული ამაგი დასდო მწერალმა რევაზ კვერენწილაძემ და არავის აწყენდა ხანდახან მაინც ჩაეხედა წერილად და ძირისძირამდე მოჩრქვილ უტყუარ ანალებში“ („სს“, 1999 წ. №44).

... 1989 წელს, პოეტობასთან ერთად საყოველთაოდ აღიარებული ვაზუტ „მამულის“ მთავარი რედაქტორობითაც სახელგანთქმულმა ტარიელ ჭანტურიაშვილმა შემოიტანა: რეპრესირებული მწერალთა სიები დაეგეჭდითო. ასეთი სია მართლაც გამოქვეყნდა („მამული“, 1989 წ. №8).

მხოლოდ ამ სიის გამოქვეყნების შემდეგ დაიწყეს პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლ მწერლებზე ბეჭდვა.

... 1990 წლიდან დავიწყე წარკვევების ბეჭდვა სხვადასხვა გაზეთებში.

გასული საუკუნის 90-იანი წლების შუახანებში საქართველოს რადიოს პირველი არხით პროგრამა „დროება“ ერთი წლისა და სამი თვის განმავლობაში ყოველ ოთხშაბათს გადასცემდა ჩემს საუბრებს საქართველოს მწერალთა კავშირის დრამატიკისა და ტრაგიკომიის აღსაქვს ისტორიისა და საბჭოურ-კომუნისტური პოლიტიკური დაუხდობელი რეპრესიების შესახებ.

... 1995 წლის მაისში გამართულ საქართველოს მწერალთა XII (XIX) ყრილობაზე მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ ელგუჯა მალრამძემ თანამოხსენებში განაცხადა:

„ძალზე საგულისნემო გამოკვლევით წარს-

და მკითხველის წინაშე რევაზ კვერენწილაძე. ამ სტატიების სერიალს ეწოდა „რეპრესირებული მწერლები“. გამოკვლევა აქამომდე ხელმძღვანელობდა და კერძო პირებთან დაცულ, ფართო საზოგადოებისთვის უცნობ მასალებზე დაფუძნებული.

სასურველია, მეტიც, აუცილებელია, რომ რევაზ კვერენწილაძემ ამ სერიალზე მუშაობა გააგრძელოს და ჩვენ ყველაფერი უნდა ვილონოთ იმისათვის, რომ „რეპრესირებული მწერლები“ წიგნად დაისტამბოს“ („სს“ 1995 წ. №24).

...გურამ გვერდნიძე: „რეპრესირებულითა თემის ამაგი დასდო რევაზ კვერენწილაძემ... კითხულობ ამ ნარკვევებს და გული სიამაყით გვეცხება, ეს რა შეილები ყოლია საქართველოს, ეს რა მასწავლებელი გვეყოლია მათი სახით, ეს რა მეგობრები ყოფილან ჩვენს გვერდით. კი ვიცოდით, მაგრამ არა ასე დეტალურად და ასე დოკუმენტურად, როგორც რევაზ კვერენწილაძემ გავაცანო“ (მარო მაყაშვილის მაგალითი, „მნათობი“, 1997 წ. №7, გვ.94).

1999 წელს გამოცემულა „მერანმა“ გამოსცა წიგნი „წამების გზა“ (წ. I.). ამ წიგნის გამოსვლას გამოხმაურნენ:

როსტომ ჩხეიძე — დადებითად მოიხსენია თავის სატელევიზიო მიმოხილვაში;

ნინო ჩხიკვიშვილი — დაბეჭდა კეთილგანწყობილი რეცენზია „წიგნი წამებულთა შესახებ“ ანუ „პარტიულბემა ყველაფერი უნდა თქვან!“ („ახალი საქართველო“ 1999 წ. 22. IV — 5. V);

XX საუკუნის ქართული ეროვნული მოძრაობის ღვაწლმოსილმა მკვლევარმა, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა გიორგი ციციშვილმა თავის წიგნში „სიმართლე 1921-23 წლების ეროვნული მოძრაობის და მიხედვით ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ“ (თსუ გამომც. 2003 წ.) რამდენიმეჯერ დაიმონა „წამების გზა“ (წ. I.) და, ვფიქრობ, გადაჭარბებული ფასი დასდო, მოვანდობი ამონაჩივს ამ შეფასებიდან:

„ჩვენი აზრით, ლიტერატორ-კრიტიკოსების იმ ნაწარმოებებიდან, რომლებშიც შედარებით ფართოდ და ზოგადრიცხვული თვალსაზრისით სწორად აისახა მ. ჯავახიშვილის 1921-1924 წლების პოლიტიკური ცხოვრება და შემდგომი ცხოვრებისეული პერიპეტები, უადრესად საყურადღებოა რევაზ კვერენწილაძის გამოკვლევა — „წამების გზა“. ავტორმა მოცემული წიგნის სპეციალურ თავში, ჩემი ცხოვრებაც გახედა და მეც გავხედე“, წინამორბედი ლიტერატორებისა და ისტორიკოსებისაგან განსხვავებით, მეტი ყურადღება დაუთმო მ. ჯავახიშვილის 1921-23 წლების პოლიტიკური ცხოვრების ამოუცნობი და ავად გაგებული საკითხების გააზრებას“ ...

... რეპრესირებულ მწერლებზე საუბრით გამოვდიოდი საზოგადოება „მემორიალში“, დროდადრო ტელევიზიის სხვადასხვა პროგრამით, საპატრიარქოს რადიოთა.

... მადლიერებით აღვნიშნავ, რომ „წამების გზის“ მეორე წიგნის რედაქტორობის პატივი დამით მართლაც ეროვნული მოძრაობისა და საბჭოური პოლიტიკური რეპრესიების აღიარებულმა მკვლევარმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გიორგი ციციშვილმა.

... პოეტმა შალვა მჭედლიშვილმა ახალ წიგნზე გამოაქვეყნა რეცენზია „მწერალთა კავშირის მემატანიის ახალი წიგნი „წამების გზა“ („მწერალური ცხოვრება“, 2005 წ. №5), პოეტმა მარი აბ-

რამიშვილმა ლექსად გამოხატა თავისი შთაბეჭდილებები:

**რევაზ კვერენწილაძეს — ავტორს წიგნისა — „წამების გზა“**

წამებულთა ისტორია არის შენი „წამების გზა“, — ეს რამდენი გიმრძობია, ეს რამდენი მწარე გისვამს! ავივლია, ჩაგივლია, მაგრამ კარს ვინ შევიღებდა, ციხე კალმით ავილია, ბნელ საკნებში შევიხედავს. დაგოლხავს გზები შორი, ვორკუტა თუ ყარაგანდა და სიმართლე შენი შრომით დადიოდა კარდა-კარ და... დაფანტულ კვალს ამდენ გმირის ვინც მიაგნო, სწორედ ის ხარ, სიბნელეში ჩაკეტილი, ყველა გარეთ გამოგისხამს. ვისაც ბედმა ამ სიცოცხლის სატანჯველი არ აკმარა, ხარ შემკვრელი მათი ძმობის, — ბარაქალა, ბარაქალა!  
**მარი აბრამიშვილი**

**შვილაძე; შვილიშვილი**

ასე მოაღწია დღემდე ჩვენი დიდი სახლეულობის ერთმა ნაღწმამა — ჩემმა ოჯახმა, ასე მოვედით დღემდე მე და ჩემი მეუღლე ანა (ზაირა) პაქსაშვილი, ჩვენი შვილები: მაკა, ფილოლოგი, ჩემი სამი შვილიშვილი — ლევანის, ტყუშების სანდროსა და ნიკას დედა და ჩემი ნანატრი ამერიკელი შვილიშვილის, გვარის გამგრძელებელი ალექსანდრე — ვედევანის მამა ლევანი, რომელმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის (ინგლისურის განხრით) მეოთხე კურსი, გაცვლითი პროგრამით, პირველმა კანადამი, ვიქტორიის უნივერსიტეტში გაიარა, ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებშია.

სალაპარაკო ინგლისური დღეს აღარაა გასაკვირი, თორემ ლევანმა მანამდეც მართლაც კარგად იცოდა, ინგლისური ენის კათედრის რეკომენდაციით საქართველოს საგარეო სამინისტროში მიღებული, ვიქტორიის უნივერსიტეტის ასპირანტურაში წასვლამდე, მიუხედავად იმისა, რომ სინქრონული თარგმანის არავითარი კურსები არ გავუვლია, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და პრეზიდენტ ელუარდ შევარდნაძესთან თარჯიმნობას თავს კარგად ართმევდა.

დაიხ, ასე მოვედი დღემდე. ჩემი დიდი ოჯახის დამაქვეყნარი კომუნისტებისა და საბჭოთა კავშირის დამლა-განკითხვის დღესაც მოვესწარი, მათი სისასტიკისა და დანაშაულობათა მხილებით, სიყვარვისა და სიკვდილის ჩვენებით გული ვიჯერე, ჩემი წამებული დედ-მამის, უღმერთოდ დაკარგული ძმების სასოვრად ეს წიგნიც გავასრულე და ცოტათი გულზე მომეშვა და მომეფონა.

მაგრამ ამ ტკივილს ბოლომდე რა გაანელებს!...

**„ნოვოსტურის“ რედაქტორისაგან:**

ბატონო რევაზ, უწინარესად, მსურს მადლობა მოგახსენოთ წიგნების გამოგზავნისათვის, იმ კეთილსურველებისათვის, რაც თქვენ ჩემი მისამართით გითქვამთ... კიდევ და კიდევ მადლობა ყველგანისათვის!

ბატონო რევაზ, პირველი წიგნი — „რეპრესირებული ოჯახის ისტორია“, რომელიც თქვენ ჩვენს ოჯახს დედარჩემის სახელზე (ცხადია, თქვენ არ გეცოდინებოდათ მისი გარდაცვალება) გამოგვიგზავნეთ ჯერ კიდევ 2006 წელს, საინტერესოდ იკითხება და სწორედ ამ წიგნის ცალკეული თავებიდან, მკითხველებს შევთავაზებ, გაზეთის ამ ნომერში, ნაწყვეტები... თქვენს წიგნში მოცემულია ანგარდაცვლილი, ობუჯური პედაგოგის, ისტორიის მასწავლებლის — არველოდ ლავალიას წერილის ფრაგმენტი დედათქვენიზე, ქალბატონ მარგალიტა კვერენწილაძეზე. ამ მეტად საინტერესო წერილის ფრაგმენტმა გამაბნელა, ახლახან ჩემი კოლეგის, ქალბატონ მანანა კაკაჩიას მიერ მოწოდებული მოგონებათა ნაწილი ობუჯის საშუალო სკოლის პედაგოგებზე და მათ შორის ქალბატონ მარგალიტაზეც. ეს შესანიშნავი მოგონება ეკუთვნის, ქალბატონ მარგალიტას შესანიშნავ მოსწავლეს, შემდგომში ბოლორგის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს — მარგო ფონიავას. მე დარწმუნებული ვარ, ეს მოგონება თქვენთვისაც ძალიან საინტერესო იქნება, ამიტომაც ვებეჭდავ სრულიად მ. ფონიავას მოგონების ტექსტს დედათქვენიზე:

„არიან ადამიანები, რომლებთანაც ხანმოკლე პერიოდი გვაკავშირებს, მაგრამ ჩვენს მესხიერებაში წარუშლელად რჩებიან, ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება სხეებისგან მკვეთრად განსხვავებული, მეტად თავისებური კოლორიტის მქონე, შედარებით ხანდაზმული, მაგრამ შესაშური ენერჯიულით გამოირჩეული მასწავლებელი — დედა პატივიცემული და პატივდებული პიროვნება, მარგალიტა კვერენწილაძე. მოგვიანებით ვაგვიცო, ჩვენს სკოლაში მოსული ეს უცხო მასწავლებელი, წარმოშობით, რომ ობუჯელი, მიქაბას ქალი იყო, რომელიც სრულიად ახალგაზრდა ნასულა ობუჯიდან. მის მეტყველებათ არ იგრძნობოდა კუთხური აქცენტი. იგი გამართული ქართული კითხვით და უაქცენტო რუსულით მეტყველებდა. მის სანდომიან სახეზე რაღაც ფარული დიდი დარდი და ნაღველი გა-

მოკრთოდა. სათვალეს (რომელსაც იგი მუდამ ატარებდა), როცა მოიხსნიდა, მის ეშხიან თვალებში ძლიერი შინაგანი ძალა იკითხებოდა. მისი ოთარაბთ ქვერცხული ხასიათი მეტყველებდა იმაზე, რომ ის ცხოვრების ძველ გზაზე რაღაც მძიმე ხვედრთან იყო ნაჭიდავები. შინაგანად ძლიერ მარგალიტა მასწავლებელს, უსაბრთლოობასთან ყვილით მოტეხილს, გაუტყბლად და ამაყად ჭიკრა თავი. ზოგჯერ, შეუმჩნევლად ისე ამოიხვეწებდა, რომ გულს თან ამოაყოლებდა. მე აშკარად დავიჭიროე მასში ეს ფარული დარდი და ნაწილი და რაღაცნაირი უსათუთესი გრძობით განვენეყვე მის მიმართ. მე ის შევიყვარე დედა-შვილური სიყვარულით. (მე იგი თავის რჩეული მეძახდა). რუსული მე კარგად ვიცოდი და სიამოვნებდა როცა მის ახსნილ მასალას გამართული რუსულით მოგუყვებოდი. ბევრი ხუთები აქვს მარგალიტა მასწავლებელს ჩემთვის დანერული, მაგრამ ამაზე მთავარი მაინც მისი დამრიგებლური, დედა-შვილური დამოკიდებულება იყო. მიუხედავად იმისა, რომ იგი უდრეკად გამოიყურებოდა, ბავშვივით ხალასი გული ჰქონდა და ძალზე უშუალოც იყო. ადვილად შედიოდა ადამიანებთან კონტაქტში და მოსწავლეთა მესაიდუმლეც იყო. მას კოლექტივი დიდ ანგარიშს უწევდა. თვითონაც საკუთარი ღირსებიდან მიაგებდა ყველას პატივს. ის ავტორიტეტი იყო სკოლის კოლექტივში, რომლის აზრს დიდ ანგარიშს უწევდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეებს მისი სიმკაცრისა და მომთხროველური ემინობა, უყვარდათ კიდევ მარგალიტა მასწავლებელი.

მასთან დაკავშირებით მინდა მოვიგონო რთი შემთხვევა. ახალგაზრდა რომ ვიყო, ვიუზერხულებდი ამის გამხელას, მაგრამ ჩემს ასაკში, როცა ცხოვრება უკვე თითქმის დამთავრებულია, არაერთი მნიშვნელობა არა აქვს ამის თქმას. ის ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა ჩვენს სახლთან ახლოს. წრის მეცადინეობაზე წასაკითხი თემის გასასწავლებლად თავისთან დამიბარა. მერმონი ვიყავით მის ღარიბულ ბინაში. როცა თემის გასწორება დამთავრდა, ძალიან ახლომდებური და შინაურული საუბრები გვიბა ჩვენს შორის. საუბარში გაირკვა, რომ მან ყველაფერი კარგად იცოდა ჩემს შესახებ, ძალიან ლამაზ ფორმებში, დედა-შვილურად შემეპო და გამოიმტყდა, რომ

ჩემში ბევრი რამ მოსწონდა (შემეპო თავაზიანობა, გარეგნობა და სწავლისთვის თავგამოდება). სიხარულით მეცხრე ცაზე ვიყავი, რომ ადამიანი, რომელიც მე ასე ფაქიზად მიყვარდა, თან ძალზე რომ მეორედებდა, ამდენ საქებას რომ ამბობდა ჩემზე. რაღაც ძალამ სკამიდან წამოშინა და მარგალიტა მასწავლებელს მოვეხვიე. მანაც გულში ჩამიკრა და მაკოცა. ამის შემდეგ მოხდა უფრო მოულოდნელი. მან სარძულად მონიშნა გამომითქვა, რამაც საერთოდ დამაბნია. ნაღვლიანად გავგრძელე საუბარი თავის მძიმე წარსულზე. მე მაშინ გავიგე, რომ მარგალიტა მასწავლებელს თავის დროზე საამაყო ოჯახი ჰქონდა, რომ იგი ახალი რეაბილიტირებული იყო, რომ მისი ერთადერთი გაუი შობლები მძიმე ხვედრის გამო დედისაგან შორს იყო და ამჟამად უშაღვლეს განათლებას იღებდა თბილისში. ამ მოგონებებმა გატეხა ეს მაგარი ნებისყოფის ქალი და ატირდა. ვტიროდი მეც, მის კალთაში თავჩარგული. მისი სატიკვართი დადარდიანებულმა, გვიან ღამემდე ვერ დავიძინე. ფიქრებში წასული მივხვდი, თუ რატომ დადიოდა მარგალიტა მასწავლებელი ყოველთვის მხოლოდ შავებში. მისი ერთადერთი ნათელი წერტილი, რომ მისი ვაჟიშვილი იყო, რომელიც იმდენად კარგი ყმაწვილი ყოფილა, რომ ეამაყებოდა ძლიერ, მასზე საუბარი, ბუნებრივია, ჩემდამი ასეთი სურვილით განწყობილი მასწავლებელი, რამდენად უფრო შემეყვარდებოდა. მაგრამ ჩემში მოხდა ის, რომ მე მასთან უფრო მორიდებული გავხდი და ადრინდელი სითამამით ვეღარ ვხვდებოდი.

ყველას ცხოვრება თავ-თავისი გზით წავიდა. მარგალიტა მასწავლებელი კი ამქვეყნიდან ისე წავიდა, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ საერთოდ არ მინახავს, რასაც მუდამ ვწუხდები. ნათელი — მის ტანჯულ სულს“!

**ობუჯის საშუალო სკოლის კურსდამთავრებული, ამჟამად თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრის დოცენტი (გენეტიკოსი), მარგო ნიკოლოზის ასული ფონიავა. თბილისი, 28.02.1996 წ.**

ბატონო რევაზ, რაც შეეხება თქვენი ბიძის — აქსენტი მიქაბას მეუღლეს — შუშანიკა ლემოხავას, რომელიც თავის დროზე, თბილისში, საგანგებოდ ჩასულა ავადმყოფი დედათქვენი მოსაველოდ, მეც კარგად ვიცნობდი. სამუხაროდ, ეს არაჩვეულოებრივი ქალბატონი უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა — ავტოავარიამ მოყვა და დაიღუპა...

ვიცნობდი თქვენს ბიძაშვილებსაც: ნათელას (1932-2001), შურგულის (1933-2002), შურას (ცაცი) (1935-2004), გარდა ვახუშტისა (1934-1974), იგი თბილისში ცხოვრობდა, სრულიად ახლგაზრდა გარდაიცვალა, დაიკრძალა ობუჯის მ. მე მაშინ 13 წლის ბავშვი ვიყავი. ვახუშტი მისი საფლავი ჩვენს უბანშია და თქვენი ბიძაშვილისშვილების — ელენეს (ზემა), რომელსაც აქსენტის დედის პატივსაცემად ეს სახელი დაერქვა და მარინეს მიერ კოხტლად მოვილიო...

სწორედ ელენემ და მარინემ გადმოცეს თქვენს მიერ გამოგზავნილი წიგნები და მესალურწენ იმ ტიტანურ შრომაზე, რაც თქვენ წიგნების მანძილზე გაგინევიათ ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ!


ბატონო რევაზ, გიგზავნი თორ სურათს, გადაღებულს გასული საუკუნის 40-იან წლებში, ობუჯის საშუალო სკოლაში, სადაც ობუჯელ პედაგოგებთან ერთად დგას დედათქვენიც, საოცარი ბედის ადამიანი, კეთილშობილი და ყველასათვის საყვარელი მასწავლებელი — მარგალიტა ესტავის ასული კვერენწილაძე. სურათები მოძია ჩემმა კოლეგამ, ქალბატონმა მანანა კაკაჩიამ თავისი მამის — ჟორჯი კაკაჩიას არქივი. ეს სურათები, შესაძლოა, თქვენი ოჯახის ალბომში არც იყოს... ამ სურათებს გავზეთის ამ ნომერშიც ვბეჭდავთ.

ობუჯის საზოგადოებას შევახსენებთ, რომ ბატონ რევაზ კვერენწილაძეს, რომლის დედულეით ობუჯია, მალე ცხრა ათეული წელი შეუსრულდება!

ბატონო რევაზ, გისურვებთ მტკიცე ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს! დიდება თქვენს გულს, ნათელ აზრებს, თქვენს კალამს!  
**სიყვარულით, პატივისცემითა და კეთილსურვილებით, ვალერი ძაძაძია ობუჯი, 30.06.2016 წ.**

მარადჭაბუკად დარჩენილი

ალექსანდრე საჯაია — 100



ძველი ჩონგური

ნიავეს ვუსმენდი: ჩუმი და ტკბილი ხმა შორეული ჩამწვდა გულამდე; ჩავიმდერე და ჩავყვიე ბილიკს და ისევ ნიავეს მივაყურადე...

ალექსანდრე საჯაია დაიბადა 1916 წლის 31 მარტს ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშში. დედა მასო მესხია ობუჯელი ქველმოქმედის ლევან მესხიას და გახლდათ, მამა — ალექსი საჯაია გლეხკაცი იყო. 1935 წელს შევიდა და 1940 წელს დაამთავრა თბილისის სტალინის სახელობის უნივერსიტეტი...

ნახეთ, რას მღერის ძველი ჩონგური: ლამე ლამაზი ბევრი მინახავს, მთვარეც, მთა-ველიც გადანაფერი... ეხ, არაფერი არ მინდა ახლა, მხოლოს სიმღერა, სხვა არაფერი!

ახალი წელი კახელებთან

ჩვენი ხარების ღონიერ ქედებს, ჩვენი გლეხკაცის გამძლე მარჯვენას, ედემს, ალაზნის ბარაქა ედემს, კიდევ სიცოცხლე და გამარჯვება! კიდევ გახედა მარცხენა თვალით ძველმა ვეფხვმა და მონადირემა: — რუსუდან ჩემი ირემი ქალი,

ქეთევან ქალი — თვალბინამა. რა იყო მაინც ეს შარშანდელი მზე, ყვავილები, წვიმა მრავალი... ამდენი ვარდი, თოვლიც ამდენი, რა მოსავალი, რა მოსავალი! შირაქმა ბამბა გადაიყარა, ქიზიყის ველს რომ მარტო გახედო... ბაკურციხეში ვაზმა იხარა, აგრეც იხარე, ჩემო კახეთო! იჯდა, მღეროდა მწყემსი იალალს, ტრფობით ცეცხლი რომ გულში აღენთო; მენ ალაზანამაც ბევრი გიმღერა, აგრეც იმღერე, ჩემო კახეთო! ეს კიდევ ერთი ისევ იმგვარად, იმ სიყვარულის ვარსკვლავსა ვფიცავ...

დილა გათენდა, დარმა იდარა და თოვლმა თოვლის ფერი იცვალა. შემეძლო, მხესაც გადავკოცნიდი, გომბორის კალთა რომ გადაცურა, რა ღვინო იყო ის დალოცვილი, რა ღვინისფერი თოვლი მოსულა!

სვანური მოტივიდან

სალამოთი შევლი გადამეღობა, ამ წელიწადს მაძებნინა კვალი; მთვარედ მექცა, ვარსკვლავებში შეტოპა, მივდეგ ველის მოგიზგიზე ხმალით. სალოცავად ქართველობა მეყოფა, საფიცავად შენი თაფლის თვალი. უშენობით გული დამიმინდება, დევის მკლავებს წაერთმევა ძალა: კვალდაკარგულს ფეხი გადამიცდება, გავტყდები და მომამეველებ დალალს; მთის კაცი ვარ, ხელი ცამდე მინვდება, ქარის მუხლით მოგენევი, ქალაქ-დავინვი და ენგურსა ვთხოვ, მეგობარს, მომასხუროს მკერდზე წმინდა წყალი. შენი შუქი ბნელში გადამეღობა, ღრუბელზედაც ვნახე შენი კვალი, საამაყოდ ქართველობა მეყოფა, საფიცავად შენი თაფლის თვალი. ქარს ღრუბლების ჯოგი მიჰყავს და დაბრუნდება, იქნებ როდის. შენ ღრუბელი ყოფილიყავ და მენაც ქარი ვიქნებოდი. შენ უშაზე დაიძინებ და მე ხეც ჩავალ ქარიშხლებით. თუკი შევხვდით, ან ვინვინებთ და ანდა სეტყვად დავიშლებით. მზე მთის საფარს ეფარება, ეზოს მწუხრი ეპარება, და ჩრდილები ხეთა, ფერად ნისლში იძირება, აივნიდან იმზირება, მონყენილი დედა.

ისტორიის მარაბდა

„მე შინდისელი ბიჭი ვარ“

2008 წლის 11 აგვისტოს სოფელ შინდისის სარკინიგზო სადგურთან საქართველოს შეიარაღებული ძალების II ქვეითი ბრიგადის საინჟინრო ოცეული ბრძოლაში ჩაება რუსულ მოტომსროლელ ასეულთან. ქართველმა ჯარისკაცებმა არნახული ვაჟკაცობა გამოიჩინეს, სიცოცხლის ბოლომდე მდგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს და გამირულად დაილუბნენ. ესენი არიან: ალექსანდრე ონიანი, რომან ზოიძე, ირაკლი ჯანელიძე, მიხეილ დვალისვილი, მარლენ ბარამია, ლევან მელქაძე, ვეფხვია ჯიშკარიანი, ზვიად კაცაძე, ნიკოლოზ ფორჩხიძე, ილია შეყლაშვილი, რუსლან ნულაძე, ილია გაბუნია, კახა კოშაძე, ფელიქს კაკაურიძე, შმაგი კუპაძაძე, ემზარ ნილოსანი, თეიმურაზ ბერიძე.

შინდისის ბრძოლაში თანამებრძოლებთან ერთად სამშობლოს თავი შესწირა ახალგაზრდა პოეტმა მიხეილ დვალისვილმა. იგი დაიბადა 1986 წლის 7 ივნისს, ვანის რაიონის სოფელ მუქედში, 2001 წელს ჩაირიცხა ქუთაისის სამხედრო ლიცეუმში, რომლის სრული კურსი დაასრულა 2003 წლის ივნისში. იმავე წლის სექტემბერში ჩაირიცხა ქუთაისის იოანე პეტრიწის სახელობის უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე. 2005 წლის მაისში განვეულ იქნა სამხედრო საავადმყოფო სამსახურში. 2008 წელს დაასრულა იურიდიული ფაკულტეტი. პარალელურად მსახურობდა სენაკის მე-2 ბრიგადის საინჟინრო ბატალიონში. 2008 წლის 11 აგვისტოს გამირულად დაილუბა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში.

ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთავაზობთ ლექსებს მიხეილ დვალისვილის კრებულიდან: „მე შინდისელი ბიჭი ვარ“.

დედა

და ეს ივნისიც ისე დამთავრდა, მზეში დაიწვა ფიქრი და დარდი, ვერ დაგიკოცნე ნათელი კალთა, ვერ შემოვალე, დედი, ჭიშკარი. დედი, ეზოში ისე ტრიალებ, თითქოს ჩამოგყავს მთვარე ციმციმით, ნუხელ ბინდისას ცოტა მოწვიმა და ალბათ ქოლგით გზაზე მიცდიდი. იქნებ ივლისიც ისე გათავადეს, ისევ დაიწვას ფიქრის ცისკარი, ვერ მოვალნიო მე შენს კალთამდე, ვერ აგიმღერო ძველი ჭიშკარი. ნუ იტყვი! ალბათ, გადავავინყდი, ნუ იტყვი! გული გასცივებია, მე ბევრჯერ ფიქრში შენს ახლოს ვიყავ და მთელი ღამე არ მიძინებია. რა ექნა, ვერ ვტოვებ წარსულზე ფიქრებს, მიყვარს, დედიკო, შენი სიცილი, მე მაინც მოვალ, მე მაინც გნახავ, ტყვიაც რომ მომხვდეს, მაინც მოვივლი! შემდეგ გაიამბობ, რისთვის დავყოვნდი, რა მომიტანა ბედის წილისყრამ, გავთებები, დედი, შენს სიახლოვით და მონატრებას ჩავთვლი თილისმად. 27 ივნისი, 2008 წ.

რომ ჩვენ ვიყავით ძმები. თეთრ თოვლზე სისხლის ნაკვალევს ვიცი, ვერ ნაშლის წლები, გულით დიდ სევდას ვატარებთ ჯარში მყოფი „მგლები“. სისხლიან დღეთა ნაკვალევს მოგონებები ერთვის, ვაჟკაცთა სულელებს ნანამებს არ მიატოვებს ღმერთი. ღვთისმშობლის ნილხვედრ მინაზე ბევრი დაღვრილა ცრემლი, არ შევინს ვაჟკაცს სინაზე, ძუძუს შერცხვენა დედის. თუკი დასჭირდა სამშობლოს, ისევ აღვსდგებით მკვდრეთით, გვინდა, ჩვენს მტრებს რომ აბოლოს გამირთა სახელი „მგლები“. 4 დეკემბერი, 2003 წ.

საქართველო

ცრემლად გვექცა პანანინა აფხაზეთი, გამთლიანდი, გაძლიერდი, როგორც ერთი, კვლავ დიდებით გაიბრწყინე, როგორც წინათ, საქართველოვ, ქრისტი ღმერთი არ გაგწირავს! 11 აპრილი, 2007 წ.

ჩემო საქართველო!

ხატად დაგიდგები, სანთლად აგენტები, გაჭირვების დროსაც გვერდით დაგიდგები, დარდს არ გაგრძობინებ, ცრემლს არ გაღვრევენებ მტერს არ გაეახარებ, ჩემო საქართველო! შენთვის ვილოცებ და შენთვის ვიარსებებ,

მრავალჯერ დატანჯული, მრავალჯერ ჭირნახული, მრავალჯერ სისხლდაღვრილი, ჩემო საქართველო! 8 იანვარი, 2006 წ.

ცრემლი

ცრემლმა დამისველა თვალები, დარდმა დამისერა გული, სევდამ დამიბინდა გონება, ღმერთმა დამიამა სული. მე რაც დამინესა განგებამ მას ვერ ავიცილდები მჯერა. ცხოვრების კარების გაღება ვერაფრით ვისწავლე, ვერა... რა მინდა? — თვითონაც არ ვიცი, რას ვეძებ? — სიცოცხლის სასრულს, სად ვეძებ? — სულყველა ნაბიჯში, ვიპოვი? — ვერ გაგცემთ პასუხს... 20 მარტი, 2007 წ.

მარტი

საქართველოს ღამაზებს მოგილოცავთ რვა მარტს, საქართველოს ყველა ქალი დასწრებოდეთ მრავალს! გაგეზარდოთ ბევრი შვილი, გავგიმრავლეთ ერი, ქართველები აკვანთან ხომ უფრო ტკბილად ვმღერით. სულ ღმილით გაზრდილიყვენ არ ენახათ ომი, თითოს ოთხი ვაჟი გყავდეთ — ჯიშანი ღომი. ქალიშვილიც გყავდეთ ბევრი, როგორც ნაპერწკალი, გამრავლეთ საქართველო, არ დაკარგოთ წამი. საქართველოს ყველა ღამაზეს მოგილოცავთ რვა მარტს, თქვენ გისურვებთ წარმატებებს დასწრებოდეთ მრავალს! 8 მარტი, 2005 წ.

სამაჩაბლო — ჩემი სატკიპარი

ვდგავარ და ვუცქერ ბუნებას, სამყაროს ათას ფერებსა, ჩემს სამაჩაბლოს სანუკვარს ტყიან მთებსა და სერებსა. ვუცქერ მწვერვალთა სიმაღლეს, მათ საოცნებო ჭაღარას, იქ მდგომი შავი ნისლები გულს მწუხარებით დაღარავს. ეს ხომ ქართველთა კუთხეა, აქ ხომ ქართული გენია, მაშ, მის მინაზე ოსური ზენარი რად აფენია? რატომ ცდილობენ ქართული მინა-წყლის თავად ფლობასა

და ოდეს სტუმრად მოსული ითხოვენ მასწინძობასა? ერთმანეთისკენ გვაქვს ახლა მახვილი მიმართულია, აქ მყოფი სწორი გზები კი უსაზღვროდ დახლართულია. ღვთისგან ნაბიძი ქვეყანა ერთიანობის სახითა, მოცული არცთუ მსუბუქი ბურუსითა და თალხითა, ბევრ ქართველს ტანჯავს ცხინვალის მოურჩენელი წყლულია, უბრძოლ-უდროოდ ჩამქრალი სიცოცხლის სიხარულია. სულ თვრამეტის წლის ბიჭები მკერდს უხვედრებდნენ ტყვიასა, უკან მდგომ ქართველთ იცავდნენ, აცდენდნენ ცივსა ნიავესა. წამოვიდოდა მტრის ტყვია მსგავსად წვიმის და სეტყვისა, გულმკერდს უხვედა მეომრებს, მათ დედებს ვინ რას ეტყვისა? იბომბებოდა ქართული სოფლები მრავალწლიანი, ბრძოლის ველიდან ისმოდა მომაკვდავთ ხმა ცრემლიანი. ბევრ დედამ ახლაც არ იცის საფლავი თავის შვილისა, ან ელოდება ცოცხალსა, ან მის სურათზე ტირისა. მიუხედავად ქართველთა დამარცხებული ბრძოლისა, სამაჩაბლოში იხარებს ვარდი დალუპულთ სხოვნისა... 13 მარტი, 2008 წ.

\* \* \*

იყო პოეტი — ძნელი როდია, დღეს ლექსებსა სწერს ყველა მეორე, მაგრამ არა აქვს აზრი ბოდიასს, თუ ათჯერ ნათქვამს გაიმეორებ. თუ ვერ გაიგებ შოთას, ილიას, სულმა სიტყვასთან თუ არ იღავა... იყო პოეტი, არც ადვილია და არც სიმძიმე ლოდის ზიფა... 5 სექტემბერი, 2006 წ.

\* \* \*


მე შენ გულს გტკენ, ჩემო პატარა, ოხ, პატება ძალზე რთულია, მე რომ ვატარებ, გრძნობა კი არა, ეს უსასრულო სიყვარულია. ასე ვასრულებ ამ ლექსის წერას, შენ არ გვეგონოს, იყო ვართობა, მე ლექსის წერა არ მიხაროდა, მინდოდა შენი გულის დაპყრობა... 18 ივლისი, 2006 წ.

ახალგაზრდა შემოქმედთა სივრცეები

მინა, რომელსაც ჩხორონყუ ჰქვია!..



ახალგაზრდა, უნიჭიერესი პოეტი შოთა ნურნუშია დაიბადა 1989 წლის 24 აპრილს, ჩხორონყუს რაიონის სოფელ ლენურნუშეში. 2006 წელს დაამთავრა ლენურნუშის საჯარო სკოლა. 2000 წლიდან აქტიურად მისდევდა საბრძოლო ხელოვნებას „შოტოკან კარატე-დო“, რომელშიც არაერთი ტურნირის პრიზიორი და გამარჯვებულია. 2008 წელს მიენიჭა პირველი დანი (შავი ქამარი), 2009 წელს კი „შოტოკან კარატე-დო“, ინტერნაციონალური ფედერაციის (SKIF) მწვრთნელის კვალიფიკაცია. 2009-2013 წლებში სწავლობდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, (სპეციალობა სამართალმცოდნეობა). ხოლო 2014-2015 წლებში იმავე უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამაზე, სისხლის სამართლის განხრით. სტუდენტობისას მისი ლექსები იბეჭდებოდა სხვადასხვა გაზეთებში: „სამხრეთის კარიბჭე“, „ლიტერატურული მესხეთი“, „მესხეთის უნივერსიტეტი“ და სხვა. 2013 წელს უნივერსიტეტში მოეწყო შოთა ნურნუშიასადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო და იმავე წელს გამოიცა მისი პირველი კრებული სახელწოდებით „რითაც მე ვსუნთქავ“. ასევე მიმდინარე წლის ოთხ მარტს ჩხორონყუს მუნიციპალიტეტის კულტურის სახლში ჩატარდა შოთა ნურნუშიას პოეზიის საღამო. ამჟამად ის მეორე კრებულის გამოსაცემად ემზადება.



ჩხორონყუ, „მზეჭაბუკი“ კოტე ჟვანია. 1983 წ.

პოეზია

მწვავს, თუმც არ ვდარდობ წუთით ამაზე, გნამდეთ, მინიდან ზეცას ხლებული, მხოლოდ ღმერთია ამ ქვეყანაზე პოეზიაზე ამდღებულნი...

\* \* \*

რადგან თვით უფლის ლოცვა-კურთხევით, რითმებმა ჩემში ჩაუშვეს ლუზა.. მე თვითონ ვსახლობ პოეზიაში, მე თვითონ ვარ ლექსისთვის მუზა.

ცხრანყარო

მეც შემძლია ვიმღერო ერთმა, რაგინდ გაშმაგდნენ გლოვის ჩარხები, ჩხორონყულად დამბადა ღმერთმა, ჩხორონყულად დავიმარხები.

ნეტარებაა სახელი განცდის, და ვალიარებ უგონოდ მშობა.. ჰავა, რომელსაც ჩხორონყუ მანვდის, მინა, რომელსაც ჩხორონყუ ჰქვია. ვისთვის ბებერი, ჩემთვის კი ბავშვი, ედემზე მშვიდი, უტკბესი სულზე, კვირაში შვიდჯერ ავაფრენ ცაში, წუთში სამოცჯერ ვემთხვევი გულზე. მას თბილ ძარღვებში სიკეთე უფლის, მომაკვდავს ხშირად მაგებებს ძმის მკლავს, და მონატრებით დასიცხულს წყურვილს, ცისებრ კამკამა ცხრანყარო მიკლავს. სიზმარად რომ ვნახე, ანგელოზს ჰგავდა, ღვთისმშობლის ბუდე, უფლის თანმხლები... ზეცა, რომელიც სიცოცხლით მრწყავს და მინა, რომელშიც დავიმარხები. მალე ვენევი, შორს ვერ ვძლებ, ვერა, სული სტროფებით კვლავ დაიკვლოს, ხობისწყლის ზვირთებს მივაპყრობ მზერას, ბავშვობის წლები რომ აირეკლოს. იქ ლენურნუშე მოთქმითგან განმბანს, ტაქტა ზღვა და რითმათა პორტი... ჩხორონყულად მსურს აწვდიდეს ჟანგბადს ჩემი მუზის ხის ყოველი ტოტი...

2012 წელი

\* \* \*

ის მომავალიც ზღაპრებს გვიყვება ანწყოს ტკივილზე შურს რომ იძიებს, აბა ჩემს საფლავს ვინ მოიკითხავს, როცა ტერენტის ძლივს მოიძიებს.

განაჩენს მსოფლად თქვენგან მოვლელი

მუზით ვენამე, რითმა დავიცივი, ფრთები აუშვა ლექსის ალაშმა.. რალაც დავნერე, მაგრამ არ ვიცი, რა ვისუფლებთ მე და კალამმა. განძი თუ ვერა, ფვიქრობ არაა მიზანს ამცდარი, როგორც ბრმის ლელო, ავტორის კვენა მცდარი შარაა, შენ შეგვაფასე, ჩემო მკითხველო! გაჩენის დღიდან ლექსის ალებად მუზა სულ თან მდევს, რითმად მთოველი, დრო იმეღლებს თუ მიიჩქმალება, განაჩენს მხოლოდ თქვენგან მოვლელი.

2015 წელი

„ჩემო კალამო“

ჩემო კალამო, გიცხადებ ნდობას, მართალი გულით გავყვეთ თაბახებს... შენ კარგად იცი, რომ ქართველობას ბევრი ვერავინ დაიტრახავს.

სულ სხვა ეპოპის გვმართებსა შენგან

ჩემს სულს სწავია, ზეცა რომ ნახოს, როცა სხეული მიწად აგდია... შენ არ იცი და არც დაგეხახოს, რა სისხლისმსმელი განთიადია. წელან შეისხნა მზემ ძლივს საყელო, ქრისტე ღამეებს ათევს ლოცვაში... სწუხს ღვთისმშობელი, რომ საქართველო დგას ჯალათების გარემოცვაში. სიზმრად გვეცევივა თავისუფლება, გული ოხვრით გვაქვს ჩამოთოვლილი, ქართველს არა აქვს იმის უფლება, ინვეს მხარ-ბეჭზე წამოწოლილი. როცა მოსწყდება მაღალ მთებს ლოდი, მას ერთობა სძლევს — ხეთა მშვენიერა, და ჩვენც ახლით თუ ძველი მეთოდით

სულ სხვა ეპოპის გემართებს შენგან. ეპოპის, სადაც ჩვენი შვილები ფესვს გაიდგამენ ცოდნის შლილებად, და განათლების გულწრფელ სხივებში, სიმაღლე აღარ დაიწრებოდა. მაშინ კი, მაშინ შეგის ფრთებით ჩვენც მტრებს მოვედებით ძღვევის ალებად და ნარმატების მწვერვალებისკენ გზა თავისთავად გაიკვალება. თუმც ახლა სულის თანამზრახველო, ქრისტე ღამეებს ათევს ლოცვაში, სწუხს ღვთისმშობელი, რომ საქართველო დგას ჯალათების გარემოცვაში...

2015 წელი

რინოს კვარაცხელიანს

ცხოვრება თუა ცდუნება, და სული ხორცის მმართველი, ამ ქვეყნად არ მეგულება თქვენზე ვაჟკაცი ქართველი. ცას სხეებზე ადრე ხლებიხართ, ციხე-სიმაგრედ ნაგები, ხვედრს რომ არ დაჰმონებხართ, მეტად ხართ პატივსაცემი. არ დავნებდები უკუნეთს, ვერ გამტყნებს მინის ტკივილი, ჩემს გულ-მკერდშიც რომ გუგუნებს მაგ თქვენი სისხლის ყივილი. ლომი ლომურად გვარ-ტომობთ, უბედო ბედზე ნაგემი და რითმად ფარას პატრონობთ, ამ მეფურ სიჭარმაგეშიც. მთამ მოსდეთ ლექსის ალი მთებს, სულში მუზა რომ აინთო, სხვა თუ ხვალ იმაგალითებს, თქვენ დღეს ხართ სამაგალითო. გმირის ხმა საზღვრებს გასცდება, როგორც კადრები კინოსი... რადგან არასდროს მარცხდება კვარაცხელია რინოსი.

ახალგაზრდას ენატრებათ ხურდა

მოთმინების ძაფი გავვიხუნდა, ბანს მოვიტხოვ, მდუმარება კმარა, ახალგაზრდებს ენატრებათ ხურდა მერე ვამბობთ — რატომ მოიპარა? ან მოწვევას როგორ ბედავს, როგორ? არ ჩაუდგეს მას ძვალ-რბილში შეება, კაფეში სურს დაპატიჟოს გოგო, დღემი სამჯერ ხის ძირში რომ ხვდება. ალკოჰოლით სულს მოჰფინა ჩრდილი, მღელვარებას ვცდილობ, თუმც ვერ ვმალავ, სანიმუშო ოჯახიდან შვილი ნარკოტიკებს როგორ მიეძალა? ერთ დღეს ყველა ბინას ვიდგამთ ცაში, სხეებს ვუტოვებთ მთებს,

ზღვებსა და ველებს... ღვთის წინაშე რომ წარსდგება, მაშინ სად დამალავს სისხლში გასვრილ ხელებს? ს ა ხ ე ლ მ ნ ი ფ ო ვ ! შეგაყოვნებთ აქ მე, თუმც პასუხსაც გისახსოვრებთ ხელად, მოქალაქე თუ ვერ დასაქმე ჩათვალე რომ მას შენ აქცევს მკვლელად.

2015 წელი

გამომღვიპება გვმართებს ქართველებს

ოჰ, ჩვენშიც მალე გათენდეს ნეტავ, ეს ერთი ფიქრი სულს ხრავს და მდაგავს, წვიმაში ვგდავარ, ვუმზერ და ვხედავ, ქართველი კაცი მიათრევს ნავავს. გეჩაგრავენ, ჩვენზე ახია, ახი, სიკვდილის მდომი ვერ იკრებს ძალებს, თურქეთში მყოფი ნანამებ სახით მკლავებში მალავს ცრემლიან თვალებს. ქეჩა-ქუხილი ცაზე ცეცხლს ანთებს, გრგვინვამ დაღენა ღრუბელთა შლილი, მარტვილურ ხვედრზე ემდურის გამჩენს, ჩაგრული ერის ბედკრული შვილი. აქ დღეს სიამეს ტკივილი ჭარბობს, მომავლის გეზი დღითიდღე ურევს, ფუფუნებაზე არაფერს ამბობს, მაგრამ მონობას არ იმსახურებს. (ვად ღვთისმშობელი მოთქმით ღიღინებს, ვშიშობ, სინმინდის კვირტიც გახმება, სისხლისმსმელს სხეულს რომ აბილწინებს, ქართველ ქალს თურქთან რა ესაქმება?! ლოცვებზე დაღვრილი განცდები გვხრავენ, ვბორგავთ, როგორც ზღვა ლურჯი მელანზე, ძმებო, სიკვდილზეც ნებას არ გვრთავენ,

ფეხით დაგვიდეს სახრჩობელაზე. ბედი გეხს გვისხამს დოქით ჭიქებში, ცრემლს ამოგვიმრობს ტანჯულთ მზე განა, თუ ჩამორჩენილ ერთა რიგებში იფიგურირებს ჩვენი ქვეყანა. სამშობლოს ბედზე ლაყბობს მასხარა, ათე „ოჭვებური“ ჩქიმი გურსუ ვაფულე, რადგან მთავრობის ჯიბე გამხდარა მთელი ქვეყნის და ერის საფულე. ლალატმა ხელა სულში თავიყობ, და მსურს, მივმართო ქვეყნის მძარცველებს, რომ დიდ ილიას თქმისა არ იყოს — გამომღვიპება გემართებს ქართველებს!

ჩემთვის პლანეტა ახლა იქმნება

დრო სიკვდილის ლანდს ფეხდაფეხ მისდევს, დრო, დრო ათასგვარ სურთა მსურავი, დღეს რომ სიცოცხლე სიცოცხლედ ღირდეს, ვერ წამართმევდა მას მე ვერავინ. ყოველ წუთს უფრო მეტი ცრემლით რწყავ, ტკივილს ვერ იტყვებ ბედის ურნები. ლალატს ანთხევა და შენ, დედამინავ, მისგან არასდროს განიკურნები. სულს ვერ ვანვნივ სვედის მიგნება, ისევ ვმღელვარებ სვედით ვნებული... ჩემთვის პლანეტა ახლა იქმნება, დღემდის უცხო და არ არსებული.

ტკივილო, ნუღარ განმინახლდები...

მოვითამადე მთვარის ქორნილი, მზემაც გადაჰკრა სავეს თასები... ვარსკვლავთ გამოხრეს ღრუბლის ბორკილი და მოსაწყვეტად რჩებათ ნამები. ირგვლივ ტკივილის ზვავი მძვინვარებს, ნისლეებს მთებს შუა ფრთა აქვთ გაჩრილი, აზვირთებულა ცრემლის მდინარე, მომსდევს სიკვდილის შავი აჩრდილი. და აი, ახლა, ვით განდევნილი, უცხო კუნძულზე მარტო ვსახლდები... ბედო, მამყოფე ღვთის სიხალგოვეს, ტკივილო, ნუღარ განმინახლდები...

2011 წელი

ჩემი სული ქრისტეში

უარყვავი პლანეტა, დღეს ხორციდან გავედი, ხვალ თუ არა ზეგ მაინც ვგრძნობ მიშვილებს მინა მე, რალაც ოცდაერთისა ცის მწვერვალზე ავედი, არ მჯერა რაც მჯეროდა, არ მნამს, რისიც ვინამე. სულ ეთბაზად დამენგრა ის რაც დღემდე ავაგე, ყველაფერი ხასხასა, ჩემთვის იქცა ფერმკრთალად, სხვათა ომში მძლეთამძლემ საკუთარი ნავაგე, გულს თვით ბოლო იმედიც წელან გამოცეალა. ახლა ვგდავარ, სულ მარტო, უთავბოლო სივრცეში, ეს გზა სულაც არაჰგავს მოგონების მთა-გორებს, ვიცი, ჰპოვებს სიმშვილეს, ჩემი სული, ქრისტეში, და ედემთან სულ რალაც ნაბიჯები მამორებს. მორჩა, ვუშვებ ხელიდან ტკივილების ლოდს ზღვაში, ყრმა, ზეციურ საუფლოს დროზე ადრე ხლებული, ხატთან, მუხლებზე მდგარი, წლებს გავცვითავ ლოცვაში, მომიშუშებს იარებს ანგელოზთა კრებული. უარცვებ პლანეტა, დღეს ხორციდან გავედი, ხვალ თუ არა ზეგ მაინც ვგრძნობ მიშვილებს მინა მე, რალაც ოცდაერთისა ცის მწვერვალზე ავედი, არ მჯერა რაც მჯეროდა, არ მნამს, რისიც ვინამე.

2015 წ.

მარბალური ღირსეფი

თი თუთა

ვოკვირქენე თე თუთა ცას თინერო ულუანს, ზოთონჯე მალას ვეთუდა ლურჯ გაგთომტყურუნას. სოდეა ბლურენი ვართხულენთ შურიში ძაფით ქონაფას, აქ ცოცხალი ნანამებუ

ექ ვეველქ ჩხონაფას. ჭკულმა ვენომეწუნათ ვართი ჟურნალ დო ვართი ვაზეთი.. ხვალე ლერსის მეკირილი, დიხას ქინმოჩარგაზეთ. შარვალ-კოსტუმი ვადასკვანს ინორჩინელს ართი ჩაფლას, ღვინი ვალეშე ქენნაბით ჩქიმი გვიმარაში სასაფლას. სანთელს იშენი ონტულას, ეკლესიას ჭუნანი ფერს ხერძელი პირჯვარს გეგნინერს, შუმილს შარას გუნათენს. სახელი დო გვარი ნარკანტიო გეძმანძმგით ჩე ქუას, მიფერი ვანნომფორუათ, თირი დო ჭვიმაქ ბჩექმუას. გური იშენით ვაპირენდ ბრელი მუთუნომ დორჩინას, ოშიშე ართიმა გვალაში ნვანს ვალი დო გურგინი ქობინანს. ვოკვირქენი თე თუთა ცას თინერო ულუანს, ზოთონჯე მალას ვეთუდა ლურჯ გაგთომტყურუნას.

ჭარა მითინს ვინდენს

თე ქიანა ირთანს, დო ტვინს ხილო გირთანს. ცხოვრებას თაში ონწყენს დუდი ქიმუდვიდა დორწწყუნს. ჭარა მითინს ვენდენს ხვალე გაიმენდენს. უქალე დო ქალამს განთხის ათამცალანს. თაში გეგრძელდა ართი დღას დუს დიპოლ ნაღდას, ქით ვოცადექ ირი სერს, მარა ლერსეფქ მირსხეს.

ოციგანა

კვირკვეს მუჟამს ხორციში ხეშე შური ნდომულენს რტებას... ქოთხოზდენი ვაგთქარაქე, გთიდგვანძვალ შეფას. ჭკომუნს ვარა მუშობაშენი ვადინუანს წუთის გოხარცქამა ვეჩერცხიებუ ლიმონათიში ყუთის. ღვინი დო ონტკას გეთინირანს, თუმი ხორცი ქუსხულო შურმა, რავადი ვაკო მუშით მოურსუ კილეში განწყუმურმა. ოდო ხიტა ქიკერკელნი კრუგის გოთხოზ ჩუანს, სოიმა ულას გოხვადდასგინი წლისთავი მაჭიშუანს. შურო ჭიჭე გელეშუმე და საფარსაკოს თქუანს, პაპროზი მუში დღას ვალუდვალ დო მუქთის ულუშუანს. რძლავა მუშით ვაჩინებე ქვარას ქურსით კასგნს, ხერძელი თოლით მეჯინე კოს ნაღდას გენოლასგნს. დუმუ უურის ქგორლუაფდა, ართითას სუმი სენს ჯვაბუნს, ელაბორო მოთაქ აშუ სასახელო ბაბუს. მარა ლონდრე მის მუს ოცილ დღას ვაბთქუათ ირტას... ლურელს ხოლო ახილე მარდიე დო ყირტას.

ჯგიროზუნს გირინათი

ნასხებუ ფართა ბშუნქ ელემს გილუობიჯექ შარა პის, ბოხოზექ უღელმერელებს გინოლუნელი მარაფის. ვედვემორჩილი ხატი დო ჯვარს ზღვა ბირგულმა მანჭუაფუ, სოიმა იღანს კოკათ წყარს უჭებუ დუდიში მაჭუაფუ. არაა ლურელი მუში მინჯექ ულაში ნოხოლე დოხვამეს მათ გომნილოზ შური ქვირჯექ მუშანჭ, მივანჭი ოხვამეს. გიბირდანი თე სოფელს, მუშენი ოკო კიჟინათ?

11

ნათესე და მეზობელს ჯგირბუას გიჩინანთ.

ქორთუ კორი

ათაში ამშვიში გვერდის, კიდალაში მანგი ფერდის, სკუაში უი დო ვაიში... ხეს მარგატელი ჩაიში...

ხანგა ხეშიში ოდას, ქუდეუკინებუ ცოდას. ლუკა ვალუმუ კუჭის, ბოტიში ღალა უჭირს. ონდურუ ჭარაში ულუს, ტომარე მახუ პუხუს. კუჩხი უზირტუ გვალას, ესუსტებუ მალას.

სილატაკეში ხანას, პაჟარი ჯგუა ჩხანას, ხვალე მუში დუს უშენს, დლაში დო სერით მუშენს... მიში ღალარას ქოსგნს, ზისხახეცალი ოსურს აშანთხაფილს ნახვურს, ფერი ვაპალუ სახეს.

ლაზი ეშმაკურს სხუნუნს დო ბრელი ფარას ღუნუნს. ქურთი ვამუშენს, ლურს ის, ჭანდეფს ურქენს ქურსის. დუდი შინაფილი ბოროს ქუქტუფიჯირალ ოროს, ჯგირი დამორჩილქ აქის, ბაკალით მუნს ჩაის.

ამდლა უნჩაში აფუქ ჰაიდო დო ჩაბუქ... ნონება დო ცქევაფათ ცუჯებს ალგარაბად! თურქი გინოხე სუკის, დო ვაი ჩქიმშენი კორუგის. ქარსამიჯგუა გვალემს ქორთუ კორი მუკონვალენს. გიანტირენი ზღირთინს, გვერდით მოლა ოირთანს... მქეთით ტომარე დუკას, მოთას ოპირ ლუკას. ინგარს, ფირქენს ანდას

მი უფასენს ხანდას? ირქალ, ობუნს უფის, დო ნერვებქუ ქუფის. პის გედვალირი რაზათ, სიომა ოკო გაბრზათ... ვაუსურვე მა თეს.. ნტერი დო მოუბადეს.

ათეჯგუა რინას ღორონთი, ვეგენყინას, მართალი ირკოც გეგებ, ლურა უჯგუდას ეგებ. თაში გეგრძელდა ართი დღას — დუს დიპლ ნაღდას!

სომხური კიდირი დომინაფუ

ხობნყარს კიდირი დომინაფუ, გიანტირენი მერეხანს, ცა გვალეფიში პუხა ხუს ცინით გაგმაჩერებანს. დაფის ხუტოლაფირი წყი, ტკიბირცალი კანკალანს, ბჟა ხუ დო გვერდი მურიცხის გურმა მუნმიკაკალანს. ზესკვი ტყარი ხვიმას მიკიცვანგ ზოთონს მუ უჯგუ გემუნას.. დამონჭვებული ხულიში ჯინს ტორონჯი გინმიჭვემუნას. სოფელი ონტკას მეუჯან, ხუთოშინს ოლუანს, თოფურს მონატრებული თუნთი ბირცხეფს უნეროლუანს. განთხი დო კილეს ვუმარდექ ვავონდურუქუ ასაკის, შურო ქემკმარჩქილეთ დე გეჩებუთ ფარსაკის. მოგოთანეს მაყალეფი ნადირუას მნირზენდით, ერცქემს ტყვია ქეკოგურეში ნაკიდრა იმენდით. კიდირიში ძვალი გონკირუდუ, ჭყოლირი გურიში რაბადით, კარეში ყებურსუ ელვოხეთ მწვადიში წკირი დო ნაბადით. მენძელი ნანატრი კორი მიყუნსუ, ბოლო ლუკმას ვაჭუნას, ბჟა მანტუნი ფერი ელარჯის ცვალით ეთმუფარუნს. ლუმუ ლანჭაში წას ელაძირკ,

ხემისკიბუთ ცოფუ ჭიფას ქილი, ჯიკის ორკოლი მუხროსო დღინით მოსირთინაფილი. თოფი კვათარას ყარულენს, ცხენი დიდარს შარა პის, ჯოლორი ხოლო ნდომურენს გოთანამა შარაფის. კილეს ფართას გობშაღენთ ყანენფს ქემბრქინუანთ, ცხორცხალს ქუადდეგრძელენთ ულირს ქიმიბინუანთ. ხობნყარს კიდირი დომინაფუ, გიანტირენი მერეხანს, ცა გვალეფიში პუხა ხუს ცინით გაგმაჩერებანს.

\* \* \* თე ქიანას ანთასი ეშმაკი ხე დო ევოჩირთენი დღაში დო სერით ზნვალე, შეხვადუქუნი სახეთ კორი დო მეხვადუქუნი კოს ნოგუედ ხვალე.

სოლონთასი თიროზუა

ართო ქომზეიმებუდანი, ხოლო ანთასი თიროზუა, ჩხორონყუალეფა მექმას ღორონთქ იფრელი ჯგირბუა!

\* \* \* თე ზიტყვაში მოკო ირკოც რვერდანი, ტონიანი ბოჭკას ყანით ვოლუა, პარიზის ბინას ქემარზენდანი, მა ჩქიმი ჩხორონყუს ქიბუტოლუა.

\* \* \* ართი მარა რე ირ დღას ცინენს, მათირე რე მარა ვათუ, ჩქიმი ჩხორონყუმი მიმაჯინუსუ თოლს სინათლე მუმუკათუ.

ართი რა ცხრანყარო დო ჩხორონყუ

კოლხური დიდი ცოროფაში ართი ბჟას მუკ-მუკი ვითოსუმი მურიცხი გორონქუ, სი ნამუ გახიოლენი გიოდვი ართი რე ცხრანყარო დო ჩხორონყუ.

ჩხორონყურგილე თუ ინჭაში კვირკვეს მაძირაფუთ ბრელი მურსე, ღორონთი ნაქარგა ჩქინ ცას იმენდი ბჟაშე ადრე ელმურსუ. სისმარს ხეკ გომზირტ დო თიმსერს, ბალიში ჩილაამური დობნყარი, ტკილეფს, სუმი, სუმი ხმაშა მიბირს, სქურჩა, ოჩხომური დო ხობნყარი. შური გვენოთუდა უკული გვალემს უსკვამამის სო ძირ, ტობაში ტომბა გურიში ხვართქალი კურცხე თოლით ხოლო მოძირ. შურიშა კარაკანო ალმონქ ნუნელი, მენჯიში წყარიში კარკალი, შურუბუმუმი მობარხატელი ბაღჩას, გოქუნსუ ანთასობით ზაკალი. კოლხური დიდი ცოროფაში ტანჯვას მუკ-მუკი ვითოსუმი ცა გორჩანს, სო ხე თე ცალი რჯულიში სკალეფი? თეზმა ჭებური ართო სო ჩანს?

ტარანტიშინარი

ჭარაში შარას მოწყინაფილი გეპუნქუ, მარა ღორონთს ნუთით ვემუტებუქუ. ოხ, მუ ონგარ გურმეჭვია თე ცას? ლურუ უკვე თოლევს ალმოკვეცანს. დროშე ადრე გუმუოკორდუქუ სოფელს, სისმარს გოპუნქუ ჩქიმი სასაფლაოში ლობერს. ფურე ქუას რგილას მიკობრტყაპუნქუ, ბგრძენქ დუს ხოლო საიმენდით ვაპუნუ. ედიდ წყენწყარქ, თირქ ქუმანირდ გვალეფს, ჩილაამური მობუ ჩქიმი ცოროფაში ქალეფს. ჭვენს, ოჭვებური მირჩილენს თუმას, ანხე ვემოტუ ლურა დლაშა შუმას. გურმე ბოლო იმენდიქუ დილას, შური მეტყობუნსუ ხორციში ხემ ფრთხილას. კინი ქალმოსქიდ ღვანკიში ტყეებქ ბირცხას, ლერსის დობჭარ, მის გიჩქ, ეგებ მირსხას. ჭარაში შარას მოწყინაფილი გეპუნქუ, ღორონთს ხოლო უკვე მუტებუქუ...

05.02. 2016 წ.

\* \* \* შური ცოროფაში დაჩხირს გერდას, გურიში კარეფი ვამკილუა, მა სკანი გურმენი ღურუს რვერდას ნუთით ვეგობთაკილუა.

არ გააჩნიათ ფიქრებს საზღვარი...



ოპარ გულუა

ფიქრი

ფიქრი, ოჰ! ეს ფიქრი, ფიქრი, მუდამ რა ოცნებებს ვებდავ, უცებ დამილევეს სისხლი, როცა გაღიშებულს გხედავ. ვუცქერ შეჩერებულ მზერას და მხედ დამჩახჩახებ ივლისს, შორით უშენობა მცელავს, შენ კი დასეირნობ თბილისს. აღარ მოგიყვები ზღაპარს, თვალნი რა ცრემლითაც ვნამე, მარტო ღმერთმა იცის, ალბათ, როგორ მიყვარხარ და რამე... ვით მზე სიჭაბუკის გაქრა, ჭკნება ყვაფილები ყველა, სადაც არ ჩანხარ და არ ხარ, ყველგან ჩრდილია და ბნელა. .., და თუ იღრუბლები მაინც, წვიმად ჩამოსხივდი ციდან, თორემ შეჩერდება ჟამი, ცოცხალს გადარჩენა მინდა.

მიყვარხარ

შენი სინმინდე მიყვარს, სვეტიცხოველი — მნათი, მე ქრისტე მიყვარს შენში და მცნება თქმული ათი... შენი თვალები კვლავ მჭრის, სანდომიანი ლოცვით, ნაიარევი მაინც, მივექანები ცოცვით... შენს გულთან მინდა ყოფნა და რომ ვისუნთქო შენში, როგორც ყვაფილი თმაზე ისე ჩაგანა ლექსი... ჩემთ სისხლისფერი ტუჩით დაგაქვს წყურვილი ჩემი, ზღვიურ ოცნებით მწყურვალს, კვლავ მიმაქანებს გემი... ნამშნებს გადალილით, მძივად გიბზინავს ჩემი ცრემლი და უშენობით ახლა გაჩენილ დღეებს ვწყევლი... და როგორ გაეძლო მითხარ, ბოლო არა აქვს ლოდინს, ნუთუ არ გესმის ჩემი, დაჭრილ არწივის მოთქმის... შენთ თვალ-ნამწამის მნახველს, რა გამიჩერებს სურვილს, ლურჯი ოცნებით მსახერვლს, გამიათასებ წყურვილს... როგორც გაზაფხულს ია,

ისე ვგრძნობ შენს ტანთ სურნელს, ციურ მანანად მოხველ, მშვიდები დაუპურელს... იალბუზისკენ მიდის შენი ნარბების გზები, იქ გავიარე ხიდი, ჩანჩქერს ჰგავს შენი თმები... ფიქრი მაქვს შენს თმათ მეტი, როგორც ვარსკვლავნი ცაზე, ზეცას რომ აფრთხობს მეხი, ისე ვკრთი მე შენს ხმაზე... ამ ქვეყნად არ ხარ, გეძებ, როგორც მედეას გრძიულს, შენ დამჭერი და ისე, შენ მამკურნალე სნეულს... რუსთველს კვითხულობ ღამე... ნესტან-დარეჯანდ გსახე, თვალსაწიერში მნათევი, ღვთის ხატად გიჩანს სახე... დავიპყრობ ამ მთებს, კლდეებს და გადავცურავ ამ ზღვებს, როგორ ვეხეტე გეტყვი იგავს, ზღაპრების ამბებს... შენი სინმინდე მიყვარს, სვეტიცხოველი — მნათი, და ქრისტე მიყვარს შენში და მცნება თქმული ათი...

ჩემსკენ ნაბიყვან

მოდი!.. ნავიდეთ უცხო მხარეში და სუნთქვა შევეკრათ გახშირებული, ალერსის ცეცხლთან მინდა თარეში და მოფერება გახელეზული!.. ერთ ნამს მაცადე, მერანს ავუშვებ თავანყვეტილი თამაშ-თამაშით და შემოდგომის თივას მიგანვენ შემოპარული ჩემთან თვალაში... დავეკონები შენს ბრონეულს და უნდობელი ვენების ალერსით, და სისხლისფერი გახვდები დენით ავიზგიზდება ცეცხლი და ლექსი... როგორც კვირტისას, გაზაფხულისას ლამაზ ტოტებად აგეტოტები, კოცნით გადავადლი, როგორც მწყურვალე და გულის კართან შემოვცოცდები. ვით დედამინის მშვენიერება, ჩემეული მზით დაიმინებე, დანამთვრალევი, ურჩი, მგზნებარე, როგორც ვულკანი ამოიფრქვევი... ყვაფილთ ნაჟური ღვინო დამათრობს და შენი ტანის ნაზი სურნელი, გახელეზული მოგეჭიდები,

ვით კოლხეთის ცა გაილურჯები... ბევრჯერ მოგამკობ მალამოდ კოცნას, ბავშვურ სიცვლქით გაიბუტები, ვით მზე ივლისის ჩაგეცეცხლები და ჩემი კანით გაირუჯები... როს დაგმორდები შეიგრძნობ ტკივილს, კვლავ მოუთმენელს დაგალამდები, ჩაგეძინება ვენებისად და ცლილს, სიზმრად ქცეული დამაიმდები. და ამ ბურანში გამოგაფხიზლებს დაჟინებული მზერით თვალები, ცოტა დრო დარჩა, ნამლობენ ნამნი, სუნთქვით დაგაბამ... დავიკარგებით... გავექანებით მყინვარწვერისკენ და თივის ნაცვლად თოვლზე დაგანვენ და ვით ფანტელთა ჯარი სითეთრის, განთიადივით ღამეს გაათევი, და შენი ტანით, მიმველ ტოტებით, როგორც ზამთარში, აცხახახებები, ვით ანგელოზი დედამინიდან ლოცვად ვლენილი ცად გაცხადდები... ბოლოს კი უკვე, ჩემსკენ ნაბიყვან, სად აორთქილი მოჩანს ცრემლები, სადაც მღეროდნენ მითებს ზღაპრისას და ამ სტრიქონებს, როგორც გედეები... ღრუბლებში ჩემთან ნოლით გაძლები და ნიავევით გამენაზები, ზეცად ვიქნებით ჟამი უჟამოდ და დედამინას დავემალეებით!..

გზა გმობლიური

მზე ამოვიდა აღმოსავლეთით, აი, იქა ჩემი ქვეყანა... და სატროფოსათვის შერკინებული, ვით იაკობი გავხდი ღმერთთანა!.. რად მომენატრე ჩემო სამშობლოვ, დღეს უშენობის შიში გამიჩნდა, სევდის ღრუბლები შენსკენ ვისროლე და ჩემი ცრემლი ასე განვიმდა...

\* \* \*

ქუჩაში ქროდა ქარი ველური და დაუნდობლად ყვაფილებს გლეჯდა, მხოლოდ სურნელი გადარჩენილი, ობოლ სულივით დაფარფატებდა. ტიროდა მარტო, ნაზი ქალივით, ფიქრის მენყერით სად არ ნარბენი, ახსენდებოდა დედა-ყვაფილი და იავნანა ნიავენარწვევი.

\* \* \*

ურიაშულია, არც რა მახარებს, ტყეებს ჰკვიან ახლაც ჭოტები, ყრმის მეგობრები დაბერდნენ უკვე და ზეცა მოჩანს დანაოჭები...

# მეტად საჭირო, საინტერესო სიასლე სამეგრელოში!



მარცხნიდან დგანან: მადონა ბოკუჩავა, კონსტანტინე გურგულიანი, როლანდ მაქაცარია

კანკია. 1951-1953 წლებში ზუგდიდელი ცხენოსნები სამჯერ ზედიზედ გახდნენ საქართველოს ჩემპიონები. საქართველოს ნაკრებში ზუგდიდის გუნდიდან ხუთი ცხენოსანი მოხვდა: დომენტი კანკია, ვახტანგ დარასელია, კლიმენტი ხარებავა, ხუტა ხასია, თამარ ჭითანავა. მათ საკავშირო პირველობაზე შეჯიბრში გუნდური მესამე ადგილი დაიკავეს. მათ მიერ მოპოვებული თასები ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება.

— **სპორტულ შეჯიბრებებში კურიოზებიც ხდებოდა, გამიგონია...**

— თქვენ წარმოიდგინეთ, ხდება. 1951 წელს მოსკოვის სპარტაკიადზე ცნობილ ცხენოსანს — ვახტანგ დარასელიას ასეთი ამბავი შეემთხვა: იგი წარმატებასთან ახლოს იყო, როდესაც მის ცხენს მოულოდნელად ფეხი მოტყდა. ვახტანგი არ დაიბნა, უნაგირი ხელეში აიტაცა და სირბილით მაინც პირველმა გადაკვეთა საფინიშო ხაზი! ამ საოცრებით აღფრთოვანებულმა სამოქალაქო ომის ლეგენდარულმა გმირმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა სემიონ ბუდინომ ვახტანგი ჯიბის საათით დაასაჩუქრა!

ვით, (მაჩვენებს კედელზე ჩამოკიდებულ, ლამაზ ჩარჩოში ჩასმულ, გადიდებულ სურათს) როგორც ხედავთ, ამ სურათიდან სრულიად ახალგაზრდა ქალიშვილი გვიმხერს... ვაჩვენებთ მას და გაოცებული შედგა...

— **რაო, დედოფალმა?**

— თითქოს არ დაიფერა... მაგრამ როცა მის მიერ გაკეთებული წარწერა ვაჩვენებთ, (თურმე ეს სურათი ნონამ მშობლებს უსახსოვრა) მაშინ კი ირწმუნა... დაგვირდა, რომ მუზეუმისთვის ახალ ექსპონატებს გამოგვიგზავნიდა.

— **ბატონო როლანდ, ერთო ოთახი ამდენ ექსპონატს ნამდვილად ვერ დაიტევს. ხელისუფლებას ხომ არ შემოუთავაზებია დახმარება?**

— ამ დღეებში მუზეუმს სტუმრობდა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი, ბატონი ლევან შონია. იგი აღფრთოვანებული დარჩა მუზეუმში თავმოყრილი ექსპონატებით. აღიარა, წარმოგვანაც კი არ მქონიაო, მცირედი... ეს რომ მცოდნე-დაო, გუბერნიის ადმინისტრაციულ შენობაში ოთახებს დაგიმობდითო. მოკლედ დახმარებას დაგვირდა და ჩვენც იმედით ვართ!...

— **ალბათ, სტუმართა ნაკლებობასაც არ უჩივით...**

— ბევრმა წარმატებულმა პიროვნებამ მოინახულა მუზეუმი. მათ თავიანთი აზრი დააფიქსირეს შთაბეჭდილებათა ნიგში... ბევრიც მინახავს აცრემლებული და ამაყი თავიანთი ჯიბის მიღწევებით...

— **და მაინც ვის ეკუთვნის მთავარი როლი მუზეუმის გახსნის საკითხში?**

— სპორტის მუზეუმის გახსნაში დიდი როლი ითამაშა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მუზეუმების მართვის ცენტრის დირექტორმა, ბატონმა კონსტანტინე გურგულიანმა. ამ პიროვნებამ შეამჩნია, თუ როგორ ვიყავი ჩემს პატარა ოფისში, ამ ექსპონატებში შეყუყული. მე ხომ ამ საუნჯეს 15 წელი ვაგროვებდი როგორც ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი...

— **ბატონო როლანდ, რა მიზნებს ისახავთ მომავალში?**

— ჩემი უპირველეს მიზანი ასეთია: როგორც აფხაზეთში, ასევე სამეგრელოს ყველა რაიონში გაიხსნა სპორტის მუზეუმი. დავაფასოთ წარმატებული სპორტსმენები, გამოჩენილი ადამიანები. მოქა-

ამ დღეებში ვსტუმრობდი ცნობილ ზუგდიდელ ჟურნალისტს, ქალბატონ მარინე დამენიას, რომლის იდეითა და პროექტით ქალაქ ზუგდიდში გაიხსნა საქართველოში პირველი მედია-მუზეუმი. სწორედ ქალბატონ მარინესაგან შევიტყვე, რომ გასულ წელს დაარსებულა ზუგდიდის სპორტის მუზეუმი, რომელიც იქვე, გვერდით ოთახში ყოფილა განთავსებული.

ქალბატონმა მარინემ შემახვედრა ზუგდიდის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან, მუზეუმის მთავარ სპეციალისტთან, ბატონ როლანდ მაქაცარიასთან შეხვედრა...

მიდარ სპორტულ ტრადიციებს, სადადიანოს მთავარ ქალაქ ზუგდიდში, დიდი ხნის ისტორია რომ გაააჩნია, საყოველთაოდ ცნობილი ამბავია.

რაც შეეხება სპორტის მუზეუმს, ზუგდიდში, თურმე გასულ წელს დაუნყია ფუნქციონირება.

ჭეშმარიტად ეროვნული მნიშვნელობის იდეისა და პროექტის ავტორი, მრავალი კეთილი საქმის ინიციატორი და მოთავე, ზუგდიდის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, სპორტის მუზეუმის წამყვანი სპეციალისტი, ბატონი როლანდ მაქაცარია წლების მანძილზე აგროვებდა ექსპონატებს, რამაც საბოლოოდ მუზეუმის დაარსება განაპირობა.

გვესაუბრება ბატონი როლანდ მაქაცარია:

— ჩვენს მუზეუმში 1300-ზე მეტი ექსპონატია თავმოყრილი. როგორც ხედავთ, აქ განთავსებულია ცხენოსნების, ლელობურთელების, რაგბისტების, ფეხბურთელების, კალათბურთელების, ძიუდოსტების, კარატისტების, ხელბურთელების, მოჭადრაკეთა, ტანმოვარჯიშეთა, ძალოსანთა და სხვა ზუგდიდელ სპორტსმენთა მიერ სხვადასხვა წლებში მოხარული პრიზები, მედლები, დიპლომები, თასები. სპორტის მუზეუმში განთავსებულ ექსპონატებში მრავლადაა საქართველოს, ევროპის, ყოფილი საბჭოთა კავშირის, მსოფლიოს ჩემპიონთა და პრიზიორთა მედლები და დიპლომები, სხვადასხვა სახის თასები. აქაა 50-იანი, 60-იანი თუ 70-იანი წლების ხანდაზმულობის ექსპონატებიც, ზუგდიდელ მოზარდთა და აბსოლუტურ პირველობებში გამარჯვებულ სპორტსმენთა მედლები და დიპლომები.

— **ბატონო როლანდ, რაც აქ, მუზეუმში ვიხილეთ, ნამდვილი საოცრებაა, ვიცი, რომ თქვენ ამ ექსპონატებს წლების მანძილზე დიდი რუდუნებითა თუ მოთმინებით აგროვებდით... ალბათ, ასეთ თავდაუზოგავ შრომასაც ჰქონდა თავისი მიზნები.**

— გეთანხმებით, ეს ყველაფერი ჩვენის მხრიდან იმიტომაც კეთდებოდა, რომ არც ერთი წარმატებული სპორტსმენის მონაგარი არ დაკარგულიყო. მიმდინარე, 2016 წელს ჩატარდა საქართველოს პირველობა ძალოსნობაში, რომლის გამარჯვებულიც გახდა ზუგდიდის ძალოსანთა გუნდი. წარმოიდგინეთ, ეს უკვე წარსულია. მთავარია, ეს მონაგარი არ დაიკარგოს, 20-30 წლის შემდეგ ამ ჯილდოებს სულ სხვა ფასი ექნება, როგორც ზუგდიდისათვის, ასევე თვით სპორტსმენებისათვის. ისინი ხომ თავიანთ შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად დათვალავენ მუზეუმში დაცულ ექსპონატებს და იამაყებენ ახალგაზრდობაში მოპოვებული წარმატებებით! ეს კი, კარგ პროპაგანდას გაუწევს მომავალ თაობებს, ჩვენს ნიჭიერ ახალგაზრდობას გამოიყვანს



დგანან: მადონა ბოკუჩავა, როლანდ მაქაცარია

სპორტულ ასპარეზზე და ისინიც უეჭველად აღიზრდებიან სახელოვან წინაპართა მაგალითებზე, იცხოვრებენ ჯანსაღი ცხოვრების წესით!

— **მართლაც ნიჭიერი და იმედის მომცემი ახალგაზრდობა ეზრდება ზუგდიდს...**

— უდავოა, მაგრამ მიზანს რომ მივალნით, ამისათვის დიდი შრომა და ჯაფაა საჭირო, ჩვენი მიზანია, ახალი თაობები აღვზარდოთ კომპლექსების გარეშე. მაგალითად, როცა ახალგაზრდამ ცურვა არ იცის, ის შეიძლება ადრევე დაიწყოს გაიტაცოს და უბედურებაც დატრიალდეს. მოზარდს ეუბნია ნყალში ჩავარდნის, ზღვაზე ბანაობის და ასე შემდეგ. აქედან გამომდინარე, ჩვენი ვალია აღვზარდოთ უკომპლექსო თაობები.

— **ბატონო როლანდ, მუზეუმში შთაბეჭდავი ექსპონატებია დაცული. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, აქ თავმოყრილია ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონთა ჯილდოები. ჩვენი მკითხველებისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება ზოგიერთ სპორტსმენთა გვარ-სახელების ჩამოთვლა...**

— დიდი სიამოვნებით: XIX საუკუნის პირველი ქართველი მოჭადრაკე, და მეცენატი, 1903-1904 წლებში მონტე-კარლოს საერთაშორისო ტურნირების პრეზიდენტი ანდრია დადიანი; ჭადრაკის დედოფალი, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, სახელგანთქმული ნონა გაფრინდაშვილი; XX საუკუნის საუკეთესო რაგბისტი და გინესის რეკორდსმენი ირაკლი კიზირია; XX საუკუნის საუკეთესო ხელბურთელი, მსოფლიოში ხელბურთის „პელებ“ ნოდებული, ჯემალ ცერცვაძე; XX საუკუნის საუკეთესო ცხენოსანი საშა დარასელია; XX საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ოთარ გაბელია და მრავალი სხვა.

— **ბატონო როლანდ, ეროვნული სპორტის სახეობებში საცხენოსნო სპორტის საპატიო ადგილი უკავია. რამდენადაც ვიცი, ზუგდიდის სპორტის ამ სახეობაშიც სერიოზული მიღწევები გააჩნია.**

— მოგახსენებთ, ცხენოსნობა პროფესიული სპორტის სახეობაა, რომელიც ზუგდიდში ომის შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბდა. საცხენოსნო სპორტს სათავეში ჩაუდგნენ საშა დარასელია და დომენტი



დგანან: როლანდ მაქაცარია, ფრიდე აფაქიძე, თეა მიშველია

— **ბატონო როლანდ, ქართული ფეხბურთის ლეგენდის — მიხეილ მესხის ბუცები როგორ აღმოჩნდა თქვენს მუზეუმში?**

— საქმე იმაშია, რომ ზუგდიდელი ფეხბურთელი გაგო ჩაჩავა მიხეილ მესხთან ერთად თამაშობდა ახალგაზრდულ ნაკრებსა და თბილისის 35-ე სპორტსკოლაში... მოკლედ მესხის ბუცები ჩაჩავას ნყალობით მოხვდა მუზეუმში.

— **სხვადასხვა დროს მოთამაშე ზუგდიდელი ფეხბურთელებიდან, ალბათ, ყველაზე მოკაშკაშე მაინც ოთარ გაბელია...**

— რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი მიღწევაც მას ეკუთვნის, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მფლობელია! აი, ნახეთ, (ხელით მაჩვენებს) ამ ხელთათმანებით ოთარმა ითამაშა იმ დაუვიწყარ 13 მანისს, დიუსელდორფის „რანინგადიონზე“... როცა ზუგდიდში ჩამოვიდა, ეს ხელთათმანები მან ჩვენს მუზეუმს უსახსოვრა... დადგება დრო, როცა მადლიერი ზუგდიდელები ოთარ გაბელიას ძეგლს დაუდგამენ!...

— **ჭადრაკის დედოფალს ახლახან 75 წელი შეუსრულდა...**

— დიას, მიმდინარე წლის 3 მაისს. მიულოცეთ! ერთი ასეთი რამ მახსენდება: ჭადრაკის დედოფალი ენვია ჩვენს მუზეუმს. ეს სურათი საოჯახო ალბომიდან მოვიპო-

ლაქებდაც შეუძლიათ დახმარების ხელი გაგვიწოდონ, გამოგვიგზავნონ თუნდაც სურათები, რომელთაც მოვთავსებთ მუზეუმის ალბომებში. ჩვენთან არაფერი დაიკარგება. ყველა ექსპონატი აღრიცხულია და დაცული. ყველას მოვუწოდებთ, აღეთ ინიციატივა, შეაგროვეთ მასალები, თქვენს სახელოვან წინაპრებს და მოქმედ სპორტსმენებს გაუკეთეთ დიდი საქმე, დააფასეთ ისინი და არ დაუკარგოთ შრომით მოპოვებული ჯილდოები... სახლში შენახულის დაკარგვის დიდი ალბათობა და ასეთი მაგალითები ჩვენს სინამდვილეში ბევრია...

ჩვენ ასევე ვაპირებთ ბეჭდვითი საშუალებებით სპორტის ყველა სახეობასა და ყველა სპორტსმენზე გამოვაქვეყნოთ წერილები და სტატიები, რათა უკვდავყოთ მათი სახელები, თაობებს კი გადავცეთ მათი სპორტული მიღწევები!

— **ბატონო როლანდ, მაგლობას მოგახსენებთ საინტერესო ინტერვიუსთვის გისურვებთ წარმატებებს!**

— მაგლობა თქვენც, რომ დაინტერესდით ზუგდიდის სპორტის მუზეუმით. გვე-იმედობთ!

ინტერვიუს უძღვებოდა ვალერი ძაძაძია

# „ნორჩ კონსტიტუციონალისტთა“ წარმატება!



სურათზე: მარცხნიდან: ხათუნა შედანი, ანა ნაჭყებია, პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, მარიამ კვარაცხელია. უკანა პლანზე: ბექა გულუა, ნიკოლოზ კვარაცხელია.

სკოლაში მიმდინარეობს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა, რაც უდავოდ მიმართულია საკლასო გარემოს გაუმჯობესებისაკენ. მოსწავლეები ეჩვენებიან სხვისი აზრის პატივისცემას და ათვისებენ იმასაც, რომ უფლებებთან ერთად მათ აკისრიათ მოვალეობებიც. ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ სკოლის მართვაში და არიან კანონმორჩილები... მათ ასევე მიუღიათ მონაწილეობა სასკოლო ოლიმპიადებში, სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში, სხვადასხვა სახის საინტერესო კულტურულ ღონისძიებებში, პროექტებსა თუ კონკურსებში...

საუბარია ნაღვლის მესხეთე საჯარო სკოლაზე, რომლის წარმატებებზე არაერთხელ ვგვსენია. მიმდინარე წელს სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში: „მე და კონსტიტუცია“, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიის ლაბორატორიის“ მიერ იქნა განხორციელებული.

გვესაუბრება ნაღვლის მესხეთე საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი, ქალბატონი ხათუნა შედანი.

— ქალბატონო ხათუნა, უწინარესად, გიყვართ თუ არა სიახლეები?

— დიახ, მიყვარს და ყველა ტრენინგებში, რაც ჩვენთან ტარდება, ვღებულობ მონაწილეობას. ვმუშაობ ახალი საგანმანათლებლო სტანდარტითა და საგნობრივი პროგრამით წამოყენებული მოთხოვნების შესაბამისად.

— ქალბატონო ხათუნა, თქვენს საჯარო სკოლას მრავალ კონკურსებსა თუ ღონისძიებებში მიუღია მონაწილეობა. საინტერესოა, ვისი ხელშეწყობით ახერხებთ, მოსწავლეებთან ერთად, ასეთ წარმატებულ მობილიზებას?

— აქ საიდუმლო არაფერია. ამ საქმეში ნამდვილად დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ ნანა მიქავას.

— ქალბატონო ხათუნა, თქვენი საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა კონკურსში „მე და კონსტიტუცია“, რომელშიც სერიოზულ წარმატებას მიაღწიეს! როგორ დაინყო ეს ყველაფერი?

— კონკურსი „მე და კონსტიტუცია“ გამოაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა, განახორციელა არასამთავრობო ორგანიზაციამ — „დემოკრატიის ლაბორატორია“. პროექტი იყო ორთვიანი, გუნდური, რომელშიც მონაწილეობდა 5 მოსწავლემ და ერთი მასწავლებელი. პროექტში მონაწილეობის მისაღებად არჩევანი შევარჩიეთ მეთუ კლასზე, რადგანაც ამ კლასში გარდა ისტორიისა ვასწავლი არჩევით საგანს: „კომპიუტერული მეცნიერებები“. გუნდი დაკომპლექტდა შემდეგი მოსწავლეებით: მარიამ კვარაცხელია (კაპიტანი), იაკობ ანთია, ანა ნაჭყებია, ნიკოლოზ კვარაცხელია და ბექა გულუა. შეირჩა გუნდის სახელიც — „ნორჩი კონსტიტუციონალისტები“.

— რა გარემოებას გაუსვამდით ხაზს

კონკურსის მსვლელობისას?

— აუცილებლად მსურს აღვნიშნო ხაზგასმით და გამოვთქვა მადლიერება „დემოკრატიის ლაბორატორიის“ და პრეზიდენტის ადმინისტრაციის მისამართით — იმ საოცარი ყურადღების, მხარდაჭერისა და თანადგომის გამოხატვისათვის, რაც მათ გამოამჟღავნეს ჩვენ მიმართ.

— რას მოიცავდა პირველი ეტაპი და როგორ გაართვეს ყველაფერ ამას თავი მოსწავლეებმა?

— პირველი ეტაპი მოიცავდა ვიდეორგოლების კონკურსს თემაზე: „მე და კონსტიტუცია“, რომელიც ანიმაციურ პროგრამაში Powtoon.com. გაეკეთეთ. მოვამზადეთ საპილოტე ვერსიები პროგრამაში „Kizoa“. საბოლოოდ არჩევენი მაინც ანიმაციურ პროგრამაზე „Powtoon“ შევარჩიეთ. პირველად მოსწავლეებმა წარმოადგინეს თავიანთი ვერსიები, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ვიდეორგოლი, ამის შემდეგ ჯერი სცენაზე მიდგა. ერთობლივი მუშაობის შედეგად ვიდეორგოლის საბოლოო ვარიანტები განვიხილეთ ინტერაქტიურ რეჟიმში, ჩავასწორეთ ფაქტობრივი და ტექნიკური ხარვეზები. მოსწავლეების მიერ შექმნილი 2 ნუთიანი ვიდეორგოლი გაგზავნილ იქნა კონკურსზე. რეგისტრაციიდან 10 ვიდეო შეარჩიეს. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონიდან მეორე ტურში ჩვენი ვიდეო გადავიდა, სადაც რეგიონიდან მოხვდა 10 გუნდი.

— კიდევ რისი თქმა შეგიძლიათ კონკურსის ამ ეტაპზე?

— შემიძლია დანამდვილებით ვთქვა, რომ, როგორც მოსწავლეები, ასევე მასწავლებელი სრულ, თანასწორ პირობებში ვიმყოფებით.

— როგორ წარიმართა მეორე ტური?

— მეორე ტურში გადასვლის შემდეგ დავიწყეთ აქტიური სამზადისი. გუნდის წევრებმა შეიძინეს კონსტიტუცია, ასევე ჰქონდათ მისი ელექტრონული ვერსიებიც. საქართველოს კონსტიტუცია მუხლობრივად დავამუშავეთ. ჩვენს მიერ ინტერნეტით მოძიებულ კონსტიტუციის შესახებ ტესტებს ჯგუფში ვამუშავებდით.

მეორე ტური გაიმართა 20 მარტს, ზუგდიდის სამხატვრო გალერეაში „ბრენ რინგის“ პრინციპით, სადაც სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის გამარჯვებულნი გახდით. „ბრენ რინგის“ შემდეგ იყო შუალედური აქტივობა მეტოქეთა შორის, — კაზუსების ტური, სადაც მოსწავლეებს ფაქტობრივი შეცდომები უნდა გაესწორებინათ. ჩვენმა მოსწავლეებმა მაქსიმალური 10 ქულა აიღეს.

„იცნობდეთ მეტოქეს“ — ამ სახელით თითოეულმა გუნდმა გადავიღეთ 2-ნუთიანი ვიდეო, რომელიც „დემოკრატიის ლაბორატორიის“ გადავუგზავნეთ. ეს ვიდეოები აიტვირთა „დემოკრატიის ლაბორატორიის“ ფეისბუქ-გვერდზე.

— მესამე ტური, რა თქმა უნდა, უფრო სერიოზული იქნებოდა...

— მოგახსენებთ, მესამე საფინალო ტური გაიმართა 7-8 მაისს, სადაც სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონს წარმოვადგინეთ. 7 მაისს ფინალისტებმა დავათვალიერეთ პრეზიდენტის რეზიდენცია, სადაც მასპინძლობა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა, ბატონმა გიორგი

აბაშიშვილმა გაგვინა, შემდეგ გავემგზავრეთ ბაზალეთში თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტის კამპუსში, სადაც ორი დღის განმავლობაში მრავალფეროვანი აქტივობები იყო ფინალისტებისთვის დაგეგმილი. ლექცია ჩავგიტარა მოაზროვნე გიორგი ბაქრაძემ.

ფინალისტებმა გავიცანით ერთმანეთი. ორი გუნდი ერთმანეთის გაცნობის შემდეგ აკეთებდა საჯარო პრეზენტაციას მეგობარი გუნდის შესახებ, ჩვენმა გუნდმა გაიცნო თბილისის გუნდი — აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის №42 საჯარო სკოლის გუნდი „კარპე დიემ“, რომელზეც გაეკეთეთ პრეზენტაცია, შესაბამისად „კარპე დიემმა“ გააკეთა პრეზენტაცია ჩვენს გუნდზე.

— ქალბატონო ხათუნა, ფინალში, ალბათ, ემოციები სჭარბობდა... ამ საინტერესო კონკურსში ფინალს ესწრებოდნენ თუ არა ხელისუფლების წარმომადგენლები?



სურათზე: მარცხნიდან: ანა ნაჭყებია, მარიამ კვარაცხელია, პირველი ლედი მაკა ჩიჩუა, ხათუნა შედანი, ბექა გულუა, ნიკოლოზ კვარაცხელია. უკანა პლანზე: იაკობ ანთია.



სურათზე მარცხნიდან: ნიკოლოზ კვარაცხელია, ანა ნაჭყებია, ბექა გულუა, პედაგოგი ხათუნა შედანი, მარიამ კვარაცხელია (კაპიტანი), იაკობ ანთია.

— ფინალი, რომელიც სამ ნაწილად ტარდებოდა, მეორე დღესვე დაიწყო. რა თქმა უნდა, ემოციებიც იყო. ჩვენი მოსწავლეების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მშვენივრად გაართვეს თავი დასახულ მიზანს. ფინალის პირველი ნაწილი კაპიტნების კონკურსი გახლდათ, სადაც ჩვენი გუნდის კაპიტანმა, მეთუ კლასელმა მარიამ კვარაცხელიამ ყველაზე მაღალი შედეგი — 20-დან 18 ქულა დააფიქსირა.

კაპიტნების ტურს ესწრებოდა პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, მეორე იყო პერფორმანსის ტური, კაპიტნებმა კენჭისყრით ამოიღეს მუხლები, რომლის მიხედვითაც 30 ნუთის განმავლობაში უნდა მოგვემზადებინა პრეზენტაცია — პერფორმანსი, სადაც 15-დან 11 ქულა ავიღეთ. მესამე იყო წინასწარ მომზადებული პრეზენტაცია თემაზე: „კონსტიტუციის მოსაწონი და პირველ რიგში შესაცვლელი

მუხლები“. პრეზენტაცია მომზადებული გვექონდა PREZI, COM ფორმატში, სადაც 30-იდან 30 ქულა ავიღეთ! ჯამში 59 ქულით გავედით მეორე ადგილზე, პირველზე კი — 61 ქულით (მხოლოდ ორი ქულით გაგვისწრო) გავიდა აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის თბილისის №42 ფიზიკა-მათემატიკის სკოლა.

— ყველაზე საინტერესო პერფორმანსის პრეზენტაცია ყოფილა, რომელიც საკმაოდ წარმატებული გამოდგა თქვენთვის.

— პერფორმანსის ტური ჩვენთვის ნამდვილად საინტერესო იყო იმით, რომ მოსწავლეებმაც და მასწავლებლებმაც ერთობლივი, გააზრებული მოქმედება გამოვავლინეთ. შედეგი, როგორც მოგახსენეთ, არ იყო ურიგო — 15-დან 11 ქულა ავიღეთ!

— ეს, უდავოდ, თქვენი საჯარო სკოლის მოსწავლეთა დიდი გამარჯვებაა, რაც ჭეშმარიტად სასიხარულოა, რა პრიზები გადმოგვცათ?

— გუნდის თითოეულ მონაწილეს (5 მოსწავლე და ერთი მასწავლებელი) გადმოგვეცა პრიზები — პერსონალური კომპიუტერები (ტრანსფორმერები). ჟიურის წევრები იყვნენ: პირველი ლედი, ქალბატონი მაკა ჩიჩუა, მოაზროვნე, ბატონი გიორგი ბაქრაძე და კონსტიტუციონალისტი, ბატონი დიმიტრი გვეგენაძე.

პროექტი ფეხბედნიერი აღმოჩნდა ჩვენთვის, ყველაზე მთავარი შენაძენი მაინც მეგობრებია, რომლებიც გავიცანით პროექტის მსვლელობისას და რომლებთანაც სოციალური ქსელებით დღემდე გვაქვს კარგი, მეგობრული ურთიერთობა.

— საინტერესო საუბრისთვის მადლობას მოგახსენებთ ქალბატონო ხათუნა კი თქვენი საჯარო სკოლის მოსწავლეებს ვუსურვებთ მორიგ დიდ წარმატებებს!..


ესაუბრა ვალერი ძაძაშია VI. 2016 წ.

# საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული პატრიოტები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ნოჯიხური“ № 29,31, 32, 33, 34, 35, 36).

## ნეტარია მისი ხსენება, ვინც მამულს შეენირა... საქართველო არ დაივინყებს თავისი სასიქადულო შვილების ღვანლს.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. 1993 წ. 7 ივნისი



**ბეჟან მგალობლიშვილი** — დაიბადა 1955 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხაშკარში. იბრძოდა საქართველოს ერთიანობისათვის სამაჩაბლოში, აფხაზეთში. იცავდა კანონიერ ხელისუფლებას. სიცოცხლე ტრაგიკულად, მაგრამ გმირულად დაასრულა: ხუნტის წინააღმდეგ ერთ-ერთ ბრძოლაში საკუთარი სიცოცხლის ფასად, აშკარა სიკვდილისგან იხსნა თანამებრძოლები, თავად კი დაიღუპა...




**არტუშა თედორეს ძე ქობალია** — დაიბადა 1941 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშში. სამშობლოზე უზომოდ იყო შეყვარებული. 1989 წელს, სამაჩაბლოს მოვლენების დროს, ძმებთან ინდიკო და ვახტანგთან ერთად აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა. დიდი წვლილი შეიტანა ეროვნული გვარდიის ჩამოყალიბებასა და შეიარაღებაში. გარდაიცვალა 1991 წელს.



**კახაბერ იაშას ძე მიქავა** — დაიბადა 1971 წლის 3 მარტს ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფელში. 1991 წლის დეკემბრიდან იცავდა კანონიერ ხელისუფლებას თბილისში, სიმართლისათვის ბრძოლაში გვერდში ედგა კანონიერ პრეზიდენტს. 1991 წლის 27 დეკემბერს ვაიქართველის ნასროლი ტყვიით დაიღუპა თავისუფლების მოედანზე.




**ენვერ დომენტის ძე ქობალია** — დაიბადა 1950 წლის 20 სექტემბერს ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშში. პროფესიით მხატვარს, სამხედრო განათლებაც ჰქონდა. ზნეობრივად სპეტაკი ადამიანი გახლდათ. 1990 წლიდან ეროვნული გვარდიის შტაბის უფროსია, წოდებით მაიორი. დაიღუპა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, 1993 წლის 13 იანვარს. დარჩა ცოლ-შვილი.




**გია მამიას ძე ნაყოფია** — დაიბადა 1961 წლის 8 მარტს ზუგდიდში. დაამთავრა ზედაენერის ტექნიკუმი. 1989 წლის 9 აპრილიდან ეროვნულ მოძრაობაშია. 41 დღის განმავლობაში იცავდა კანონიერ პრეზიდენტს თბილისში. იბრძოდა ცაიშთან, ხობში, რუხში, შემდეგ ფოთში ებრძოდა ხუნტისტებს, სადაც გმირულად დაეცა. დარჩა მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი.



**ჯემალ ნაჰოს ძე ქოჩუა** — დაიბადა 1952 წლის 28 მაისს ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშში. 1981 წლიდან მუშაობდა ზუგდიდის მილიციაში. 1991-92 წლების დეკემბერ-იანვარში იცავდა კანონიერ ხელისუფლებას, იბრძოდა სამაჩაბლოში. 1992 წლის 9 მარტს ხალხმა წინააღმდეგობა გაუწია ზუგდიდში მოთარეშე ხუნტელებს, რომლებმაც მილიციის შენობა ალყაში მოაქციეს და მძევლად აყვანილ ჯემალს უბრძანეს ესროლა ხალხისთვის. უარის მიღების შედეგად ადგილზევე დახვრიტეს.



**გურგენ დავითის ძე ნიჟარაძე** — დაიბადა 1948 წლის 5 მაისს ლენტეხის რაიონის სოფელ ცანაში. მუშაობდა ზუგდიდის შს განყოფილებაში, იყო იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი, ზუგდიდზე შეყვარებული შეენირა ზუგდიდის „მხედრიონთაგან“ განთავისუფლებას... ეს მოხდა 1992 წლის 9 მარტს. დარჩა მეუღლე.



**ჯანო დურუშ ძე რაფავა** — დაიბადა 1950 წლის 10 სექტემბერს ზუგდიდში. იყო ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი. 1991 წლიდან იბრძოდა საქართველოს ერთიანობისათვის სამაჩაბლოში. იყო ჰელსინკის კავშირის წევრი. 1991 წლის 27 მარტს სამაჩაბლოში ოსმა სეპარატისტებმა სიცოცხლეს გამოასალმეს მამულისათვის თავდადებული გმირი. დარჩა მეუღლე და შვილები.



**ზაზა ნოდარის ძე პერტახია** — დაიბადა 1967 წლის 13 ივლისს ზუგდიდის რაიონის სოფელ ოქტომბერში. 1989 წლის 15-16 ივლისს აფხაზეთში, ლალიძგასთან სამშობლოს მტრებს იარაღით დაუპირისპირდა, იცავდა ტერიტორიულ მთლიანობას. იბრძოდა სამაჩაბლოში, დეკემბერი-იანვარში იცავდა მთავრობის სასახლეს. გმირულად იბრძოდა აფხაზეთში. უშიშროების სამსახურმა ვერ შეძლო ზაზას გადაბირება. ამიტომ 1995 წლის 2 ნოემბერს ღამით მძინარეს თავს დაესხნენ და შვილის თვალწინ მოკლეს. დარჩა მეუღლე და ორი ვაჟი.



**რობერტ (მამუკა) ზაურის ძე რატია** — დაიბადა 1963 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ ოქტომბერში. პედაგოგი ვაჟკაცი ეროვნული სულისკვეთებით ზრდიდა თავის მოსწავლეებს. იყო ეროვნული მოძრაობა „ჭყონდიდელის“ წევრი. 1993 წლის 4 მარტს თავის მეგობრებთან ერთად „უცნობმა“ პირებმა „გაურკვეველ“ ვითარებაში ჩაცხრილეს მანქანაში.

სრულიად საქართველოს მოძრაობა „ხსოვნა“ (თავმჯდომარე მადონა მაქაცარია), საქართველოს ეროვნული გვარდიის ზუგდიდის ვეტერანთა კავშირი „ოდიში“ (თავმჯდომარე გიგლა ჭედია).  
რედაქცია მადლობას უხდის მათ მასალების მოწოდებისათვის.

(გაგრძელება იქნება)

სსოპნის ნათელი

ჩვენი მილოცვა!




ექვსი ათეული წელი შეუსრულდა ობუჯის საჯარო სკოლის პედაგოგს, დანაყებითი კლასების მასწავლებელს, ქალბატონ ნათია ბიქტორის ასულ ნანეიშვილს.

ახალგაზრდული შემართებით იღვწით ერისა და სამშობლოსათვის! იყავით დღევანდელი და მზებრძოლი!

დიდი სიყვარულით, ობუჯის საჯარო სკოლის პედაგოგები.

მოსწავლის შემოქმედება



ბალაკტიონის სსოპნას

შავებში შემოსილა მკვდარი, შავფერად შეიღება ხედი, და ისმის მონაგონის ქნარი, და ისმის სიმღერები გედის.

მიყვარს ზამთარი

მიყვარს ზამთარი, როცა თოვს მაშინ, როცა თოვლია მთასა და ბარში, არ ვეგუებთ მე ლოდინს მაშინ,

\*\*\*

მასხოვს ზაფხულის ნაზი ფერება, მას ლექსი ვუძღვევ მე მოსაწონი, დღეზე ფიქრებში ღამე მერევა,


რას ვნერ და რას არა

მე არ ვნერ მადრიგალს, ის დაინერა. მე არ ვნერ ბალადას, ის დაინერა.

აპრილი, 2015 წ.

გუპა ნაჭყებია, ნალენჯიხის №6 საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე.



დიდი ტკივილი დაბვიტოვა...



მიმდინარე წლის 22 მარტს, გამთენიისას ავმა ზარმა ჩამოკრა... მოულოდნელად, წუთისოფელი დატოვა მისმა მკვიდრმა, ობუჯელმა გიგლა (გია) არელოდის ძე კაკაჩიამ...

დაიბადა ობუჯში 1957 წლის 10 მაისს. 1964-74 წლებში სწავლობდა ობუჯის საშუალო სკოლაში. 1975 წელს ამთავრებს საბერძნის სპეციალობით.

ქმების — ვალტერ და ბაბუში ქაქამიების გახსენება



ადამიანის გარდაცვალება ყოველთვის ტრაგედიაა, მაგრამ ეს ტკივილი ათმაგდება, როცა გარდაცვლილი ძაღლის გაფურჩქვნის ასაკშია.

ვალტერის გარდაცვალებიდან (17. 06.), შენც რომ მივახლე ზეცის საუფლოს (22. 06.)... ასევე ორი შვილის მამა იყავი, ბაბუში... ორივეს შესანიშნავი ოჯახი აქვს შექმნილი...

ოჯახი

გაზეთ „ნოჯიხურის“ რედაქცია თანაუგრძობს ღირსეულ ქართველს, შესანიშნავ ლიტერატორსა და დიდებულ პოეტს, ბატონ კოტე ნაჭყებიას დის, ლიდა ნაჭყებიას გარდაცვალების გამო.

ანგეო თუ არა გვწყალობს მომავალი ჩვენი!



ნიკოლოზ კაკაჩია

ობუჯი



ანიტა კოჯაჩია

ნოჯიხური

რედაქტორი — ვალერი ქაქამია

„ნოჯიხურის“ მისამართი:

ნალენჯიხა — ობუჯი. ლეო ქიაჩელის №37.

ტელ: 591 91-32-89

გამოიცემა 2005 წლის ოქტომბრიდან

ანყობა და დაკაბადონება — თია მიშველია

ტელ: 555 49 22 07; 555 50 40 88